

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საერთაშორისო რეცენზირებადი მულტილინგვური

სამეცნიერო ჟურნალი

„Scripta manent“

საქართველო

№2 (34)

2017

ჟურნალი დაფუძნებულია
ღია დიპლომატიის ასოციაციის მიერ



GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY
ГРУЗИНСКИЙ ТЕХНИЧЕСКИЙ УНИВЕРСИТЕТ

Multilingual Reviewing International Scientific Magazine
Международный рецензионный мультилингвальный научный журнал

„Scripta manent“

GEORGIA

ГРУЗИЯ

№2 (34)

2017

OPEN DIPLOMATIC ASSOCIATION

АССОЦИАЦИЯ ОТКРЫТОЙ ДИПЛОМАТИИ

ISSN 1987-7390
UDK (უაკ) 81+82
S-41

სარედაქციო კოლეგია:

მაია ჩხეიძე
მთავარი რედაქტორი
რუსუდან თაბუკაშვილი
მთავარი რედაქტორის მოადგილე
ია ჩიქვინიძე
პასუხისმგებელი მდივანი

რედაქციის წევრები:

ვიტა ჟურცელაძე, ჰანს რუდოლფ ფლუკი, კულაშუ ხეიბიტოვა, სილვია ბოტევა,
ტანია ბრისჰამერი, ქეთევან გაბუნია, მარია მიხაილოვა, ტატიანა მებრელიშვილი,
ალბა ბრანცინო, ალესანდრა სპაღაფორა, გიორგი ყუფარაძე,
რუსუდან ბოცინიძე.

მისამართი:

საქართველო, თბილისი, 0175, კოსტავას 77, კორპუსი VI, სართული VIII
ტელ. : 236 51 76
E-mail. : r. tabukashvili@gmail. com

ტექნიკური უზრუნველყოფა: კარინა ხარაზიშვილი
E-mail. : k-kharazishvili@mail. ru
scripta.manentmagazine@gmail. com

ჟურნალის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ღია დიპლომატიის ასოციაციის ვებგვერდზე:
[www. odageorgia.ge](http://www.odageorgia.ge)

Editorial Board:

Maia Chkheidze, Viola Purtseladze, Rusudan Tabukashvili, Ia Chikvinidze, Hans Rudiger Fluck,
Kulpash Beibitova, Tania Grieskhammer, Ketevan Gabunia, Maria Mikhailova,
Silvia Boteva, Tatiana Megrelishvili, Alba Graziano, Alessandra Spadafora, Georgi Kuparadze, Rusudan Gotsiridze.

Address: Kostava str. 77, 0175, Tbilisi, Georgia
Tel. : (995 32) 236 51 76
E-mail: r. tabukashvili@gmail. com

Electronic version: [www. odageorgia. ge](http://www.odageorgia.ge)

Редакционная коллегия:

Майя Чхеидзе, Виола Пурцеладзе, Русудан Табукашвили, Ия Чиквинидзе, Ганс Рудигер Флук,
Кульпаш Бейбитова, Таня Грисхаммер, Кетеван Габуня, Мария Михайлова,
Сильвия Ботева, Татьяна Мегрелишвили, Альба Грациано, Алессандра Спадафора, Георгий Купарадзе,
Русудан Гоциридзе.

Адрес: Ул. Костава 77, 0175, Тбилиси, Грузия
Тел. : (995 32) 236 51 76
E-mail: r. tabukashvili@gmail. com

Электронная версия: [www. odageorgia. ge](http://www.odageorgia.ge)

რედაქციისაბან

„Scripta manent“ საერთაშორისო რეცენზირებადი მულტილინგუური სამეცნიერო ჟურნალია, რომელიც აქვეყნებს ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა როგორც ტრადიციულ, ისე თანამედროვეობაზე დაფუძნებულ თეორიულ თუ პრაქტიკულ ნაშრომებს. ამას გარდა, იგი ადგილს უთმობს რეცენზიებს, თარგმანებსა და სხვადასხვა ტიპის შემოქმედებით ნაშრომს.

პროფესიონალთა ნაშრომების გამოქვეყნების გარდა ჟურნალი მიზნად ისახავს ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა პოპულარიზაციას მომავალ თაობებში. ჟურნალის რედაქლეგია განსაკუთრებული ინტერესითა და ყურადღებით ეკიდება დოქტორანტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა ნაშრომებს.

ჟურნალი რეცენზირებადია, უარყოფითი რეცენზიით ნაშრომი ავტორს არ უბრუნდება. ჟურნალის სამუშაო ენებია: ქართული, რუსული, ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური და იტალიური.

სარედაქციო კოლეგიის წევრები მოღვაწეობენ საქართველოს (თბილისი), გერმანიის (ბოხუმი, ბერლინი), რუსეთის (მოსკოვი), ყაზახეთის (ასტანა), ბულგარეთის (სოფია) და იტალიის (ტუსცია) უნივერსიტეტებში.

სარჩევი

ფილოლოგია

ცისანა ანთაძე

მხატვრული ფილმების სათაურების თარგმნის სპეციფიკა..... 10

ციური ახვლედიანი, ქეთევან გაბუნია

მეტაფორა და მეტონიმია ევფემიზმებში..... 14

რუსუდან გოცირიძე

სტუდენტზე ორიენტირებული მეთოდის უპირატესობები..... 19

ნანა გუნცაძე, ქეთევან ქუსიკაშვილი

სარკის ესთეტიკა სტენდალის შემოქმედებაში..... 23

მარინა ზორანიანი

კონცეპტუალური მეტაფორა როგორც ერთი კონცეპტუალური სფეროს გაგება მეორე სფეროს ტერმინებში..... 30

რუსუდან თაბუკაშვილი

ტერმინოლოგიური პოლისემია და სინონიმია 34

თამარ ღარიბაშვილი

ფრანგული კომპიუტერული დისკურსის კონტექსტუალური და ტექსტუალური თავისებურებები..... 42

ფიქრია ჭულუხაძე

შინაარსობრივი განსაზღვრულობის სივრცეები „ქორწინების“ სცენარის აქსიოლოგიის კვანძში..... 50

ბელა ხაბეიშვილი

არგუმენტაციული მეტაფორის როლი პედაგოგიური სამეცნიერო დისკურსის ფორმირებაში..... 53

სოციალური მეცნიერებანი

თინათინ აფხაიძე, გიორგი ზირაქაშვილი

საზოგადოებასთან ურთიერთობის როლი ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციის პროცესში..... 62

Contents

Philology

Tsisana Antadze

Specifications of Feature Film Title Translation.....10

Tsiuri Akhvlediani, Ketevan Gabunia

Metaphor and Metonymy in Euphemism14

Rusudan Gotsiridze

Benefits of the Student-Centered Method19

Nana Guntsadze, Ketevan Kusikashvili

Mirror Aesthetics in Stendhal's Works23

Marina Zoranyan

Conceptual Metaphor as Understanding of One Conceptual Domain in Terms of Another30

Rusudan Tabukashvili

Terminological polysemy and Synonymy34

Tamar Garibashvili

Contextual and Textual Features of the French Computer Discourse42

Pikria Chulukhadze

Field of the „Wedding“ Scenario from the Axiological Point of View.....50

Bela Khabeishvili

Argumentative Role of the Metaphor in the Formation of Scientific Pedagogical Discourse.....53

Social Sciences

Tinatin Apkhaidze, Georgi Zirakashvili

Role of Public Relations Within Process of Integrated Marketing Communications.....62

Содержание

Филология

Цисана Антадзе

Специфика перевода названий художественных фильмов 10

Циури Ахвледиани, Кетеван Габуния

Метафора и метонимия в эвфемизмах 14

Русудан Гоциридзе

Преимущества метода, ориентированного на студента 19

Нана Гунцадзе, Кетеван Кусикашвили

Эстетика зеркала в творчестве Стендаля 23

Марина Зоранян

Концептуальная метафора как понимание одной концептуальной сферы в терминах другой 30

Русудан Табукашвили

Терминологическая полисемия и синонимия 34

Тамар Гарибашвили

Контекстуальные и текстуальные особенности французского компьютерного дискурса 42

Пикрия Чулухадзе

Сфера определения содержания сценария свадьбы в аксиологическом плане 50

Белла Хабеишвили

Роль аргументативной метафоры в формировании научного педагогического дискурса 53

Филология

Тинатин Апхаидзе, Георгий Зиракашвили

Роль связи с общественностью (PR) в процессе интегрированной маркетинговой коммуникации 62

ფილოლოგია

Philology

Филология

მხატვრული ფილმების სათაურების თარგმნის სპეციფიკა

ცისანა ანთაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი
კოსტავას №77, 0175, თბილისი, საქართველო
ტელ: 599 551 801

E-mail: ts.antadze@gmail.com

რეზიუმე

სტატიაში განხილულია მხატვრული ფილმების სათაურების თარგმნის სპეციფიკა. წარმოდგენილია თარგმნის ძირითადი სტრატეგიები და მეთოდები. ყურადღებაა გამახვილებული სხვადასხვა ფაქტორებზე, რომლებიც უნდა გავითვალისწინოთ თარგმნის პროცესში. მოცემულია და განხილულია შესაბამისი მაგალითები.

საკვანძო სიტყვები:

თარგმანი, მხატვრული ფილმი, სპეციფიკა, სათაური, სტრატეგია, მეთოდი

შესავალი

კულტურა განსაზღვრავს საზოგადოების სულიერი განვითარების დონეს და განაპირობებს ერის არსებობას. ფართო აზრით, კულტურის ცნება ხაზს უსვამს ადამიანის განსხვავებას ყველა სხვა ბიოლოგიური არსებისაგან. კულტურაში იგულისხმება არა ცალკეული შემოქმედებითი აქტი, არამედ შემოქმედება, როგორც ადამიანის უნივერსალური დამოკიდებულება სამყაროსადმი, რომლის მეშვეობით იგი ქმნის „ახალ სამყაროს“ და საკუთარ თავს.

ხელოვნება სულიერი კულტურის ერთ-ერთი ფორმაა. ის ფართო გაგებით, ადამიანის შემოქმედებისა და წარმოსახვის ფიზიკური გამოხატვაა ნაწარმოებში, რომელიც აერთიანებს სინამდვილისა თუ მოგონილის მხატვრული გამოხატვის სხვადასხვა ფორმებს.

კინოხელოვნება (ბერძნ. Kineo – „ემოძრაობ“) – ვიზუალური ხელოვნების დარგია, რომლის ნაწარმოებები იქმნება რეალური, ინსცენირებული ან მულტიპლიკაციის საშუალებებით შექმნილი მოვლენების შესახებ [5].

მხატვრული ფილმი არა მხოლოდ კულტურული ფენომენია, რომელიც ასახავს საზოგადოების სოციალურ-კულტურულ პრიორიტეტებს, არამედ ცალკეული ინდივიდისა და მთლიანად ლინგვისტური საზოგადოების მსოფლიოს სურათის ფორმირების საშუალებაა. ხშირად სწორედ ფილმები (მიუხედავად მათი მხატვრული ღირებულებებისა თუ ნაკლისა) წარმოადგენენ მთავარ წყაროს და იმავდროულად საშუალებას „უცხო“ კულტურის ხატის შექმნაში [2:65].

ძირითადი ნაწილი

ლიტერატურული ტექსტისა თუ მხატვრული ფილმის სათაურს დიდი დატვირთვა აქვს. ის განასხვავებს ერთ მხატვრულ ნაწარმოებს მეორისაგან, თუმცა არ ისახავს მიზნად ამა თუ იმ ნაწარმოების არსზე, თვითმყოფალობასა თუ შინაგან სიღრმეებზე მინიშნებას. მხატვრული ნაწარმოების სათაური ასევე წარმოადგენს კომპოზიციურ ელემენტს, რომლის ფუნქციაც რომელიმე კონკრეტული ნაწარმოების თემაზე, ავტორის პოზიციასა და ჟანრის თავისებურებებზე მინიშნებაა. სათაური ერთგვარ სარეკლამო ფუნქციასაც ასრულებს, რადგან მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია აუდიტორიის დაინტერესება–მიზიდვაა. სათაური გარკვეული ორიენტირია მხატვრული ნაწარმოების (ჩვენ შემთხვევაში მხატვრული ფილმის) შერჩევისას. სწორედ ამიტომ, მხატვრული ფილმის სათაურის თარგმნა სირთულეებს ქმნის, რადგან თარგმნილი ვარიანტი ორიგინალის ღირსეული შესატყვისი უნდა იყოს, ე.ი. სა-

თაურის თარგმნილი ვარიანტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს: ის ისეთივე ლაკონური, ჟღერადი და შინაარსიანი უნდა იყოს, როგორც ორიგინალშია.

მხატვრული ფილმის სათაურის თარგმნისას უნდა გავითვალისწინოთ:

1) კულტურათაშორისი კომუნიკაციის პრობლემები;

2) ტექნიკური მოთხოვნებით გამოწვეული პრობლემები;

3) ლინგვისტური პრობლემები.

თარგმნის სტრატეგიის შერჩევას აუცილებელია მხატვრული ნაწარმოების გამოხატვის საშუალებათა გაანალიზება. მხატვრულ ფილმში ასეთი საშუალებებია ვერბალური და არავერბალური ნიშნები. თარგმანს, ბუნებრივია, ექვემდებარება მხოლოდ ვერბალური კომპონენტი, მაგრამ ფილმის ადეკვატურად აღქმა თავის თავში მოიცავს არავერბალურ კომპონენტებსაც (მაგ. ვიდეოკადრებს), რომელთაც გარკვეული ეროვნულ-კულტურული მახასიათებლები აქვთ. მათი გათვალისწინება მნიშვნელოვანია, რადგან კულტურათაშორისი ადაპტაციის მრავალი ხერხის გამოყენება პრობლემატურია იმის გამო, რომ ისინი სხვა კულტურის რეალიის აღუზიას შეიცავენ.

მეორე ბლოკის პრობლემები შეზღუდვებს უწევს თარგმანის ფორმებს. აღნიშნული პრობლემები იდეალურ შემთხვევაში არ უნდა აისახებოდეს შინაარსზე, რადგან მთარგმნელს ესმარება გამოხატვის საშუალებათა მრავალფეროვნება. ზოგჯერ თარგმნის პროცესში ორიგინალის მნიშვნელოვანი ელემენტები იკარგება, ხოლო რიგ შემთხვევაში ელემენტების ნაწილი სხვა ელემენტებით კომპენსირდება.

მესამე ბლოკის პრობლემები უკავშირდება ენობრივ გაფორმებას და მის ასახვას თარგმანში. ენათშორისი კომუნიკაციის დროს მთარგმნელს უადვილდება მუშაობა, თუ ორიგინალისა და თარგმანის კულტურული ნორმები ემთხვევა ერთმანეთს. თუმცა,

ზოგჯერ იგივე პირობა შეიძლება უხარისხო თარგმანის მიზეზიც გახდეს.

მხატვრული ფილმების სათაურების თარგმნისას შეიძლება გამოვეყოთ სამი ძირითადი სტრატეგია:

1) მხატვრული ფილმის სათაურის პირდაპირი თარგმანი ერთი ენიდან მეორეზე (ჩვენ შემთხვევაში ინგლისურიდან ქართულად). აღნიშნული მეთოდი გამოიყენება მაშინ, როცა სათაურში არ არის მოცემული უთარგმნელი კულტურულ-სპეციფიკური კომპონენტები.

მაგ.: “Pride and Prejudice” – „სიამაყე და ცრურწმენა” (2005, რეჟისორი ჯო რაიტი);

“A Cloackwork Orange” – „მექანიკური ფოტოხალი” (1971, რეჟისორი სტენლი კუბრიკი);

“Atonement” – “მონანიება” (2007, რეჟისორი ჯო რაიტი).

თარგმნის აღნიშნულ სტრატეგიას შეიძლება მივაკუთვნოთ ტრანსლიტერაცია და ტრანსკრიფცია, რომელსაც მიმართავენ საკუთარი სახელების გადატანისას ერთი ენიდან მეორეში.

მაგ.: “Titanic” – „ტიტანიკი” (1997, რეჟისორი ჯეიმს კამერონი);

“Amadeus” – „ამადეუსი” (1984, რეჟისორი მილოშ ფორმანი);

“Chicago” – „ჩიკაგო” (2002, რეჟისორი რობ მარშალი).

2) სათაურის ტრანსფორმაცია. ამ მეთოდის გამოყენება განპირობებულია ლექსიკური, სტილისტური, ფუნქციური და პრაგმატული ფაქტორებით. აღნიშნული სტრატეგიის გამოყენებისას ბევრი სათაური ითარგმნება კოგნიტიური ინფორმაციის გაფართოების, ლექსიკური ერთეულების ჩანაცვლების ან დამატების ხარჯზე. ასეთ შემთხვევაში ფილმის სათაურის თარგმნილ ვარიანტში ხდება აზრობრივი თუ ჟანრობრივი ინფორმაციის წარმოჩენა და ფილმის სათაურის სარეკლამო ფუნქციაც შენარჩუნებულია. მხატვრული ფილმის სათაურის თარგმნისას

ლექსიკური ერთეულის ჩანაცვლების ან დამატების კვალდაკვალ შეიძლება გამოვიყენოთ ლექსიკური ერთეულის გამოტოვების ხერხი.

მაგ: “The Assassination of Jesse James by the Coward Robert Ford” – “ჯესი ჯეიმსის მკვლელობა” (2007, რეჟისორი ენდრიუ ლომინიკი);

“The Shooting” – „სროლა დამარცხებამდე” (1966, რეჟისორი მონტე ჰელმანი);

“Come Back to the Five and Dime Jimmy Dean, Jimmy Dean” – „დაბრუნდი ჯიმი დინ” (1982, რეჟისორი რობერტ ალტმენი).

3) ფილმის სათაურის შეცვლა. ეს ხერხი ხშირად გამოიყენება მიუხედავად მთარგმნელის მიმართ სემანტიკურ-სტრუქტურული და კომუნიკაციურ-ფუნქციური თვისებების შენარჩუნების აუცილებლობის მოთხოვნისა. როგორც წესი, მთარგმანში შეცვლილი სათაური ფილმის შინაარსიდან გამომდინარეობს.

მაგ: “Moneyball” – „ადამიანი, რომელმაც ყველაფერი შეცვალა” (2011, რეჟისორი ბენეტ მილერი);

“The Hurt Locker” – „ქარიშხლის მბრძანებელი” (2008, რეჟისორი კეთრინ ბიგელოუ);

“Zero Dark Thirty” – „მთავარი სამიზნე” (2012, რეჟისორი კეთრინ ბიგელოუ).

დასკვნა

ამგვარად, ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ შეუძლებელია მხატვრული ფილმების სათაურების მთარგმნისას წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის უნივერსალური საშუალებების პოვნა. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სწორი სტრატეგიის შერჩევასა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურ მიდგომას.

ლიტერატურა

1. თამარ ტალიაშვილი (2012): სათაურის ფუნქცია, სტატუსი, ინტერპრეტაცია <https://semioticsjournal.wordpress.com>

2. Милевич И. (2007): Стратегии перевода названий фильмов. Русский язык за рубежом

3. Тихонова А. В. (2015): Проблемы перевода названий зарубежных фильмов на русский язык на примере англоязычных и италияязычных фильмов <https://www.google.ge>

4. Арнольд И. В. (2002): Стилистика. Современный английский язык.–М.: Флинта: Наука

5. <https://ka.wikipedia.org>

6. <https://ka.wikipedia.org/> მხატვრული ფილმების ელექტრონული რესურსი

Specifications of Feature Film Title Translation

Tsisana Antadze

Georgian Technical University

Liberal Arts Department

77 Kostava str., 0175, Tbilisi, Georgia

Tel: 599 551 801

E-mail:ts.antadze@gmail.com

Abstract

The article deals with the specifications of feature film title translation. Basic strategies and translation methods are introduced. Different factors, which are to be taken into account in the process of translation are focused on. Corresponding examples are given and considered.

Keywords:

Translation, feature film, specifications, title, strategy, method.

Специфика перевода названий художественных фильмов

Антадзе Цисана Ревазовна

Грузинский технический университет

Департамент либеральных наук

Ул. Костава №77, 0175, Тбилиси, Грузия

Тел: 599 551 801

E-mail: ts.antadze@gmail.com

Резюме

В статье рассматривается специфика перевода названий художественных фильмов. Пред-

ставлены основные стратегии и методы перевода. Особенное внимание уделяются различным факторам, которые должны приниматься во внимание в процессе перевода. Представлены и рассмотрены соответственные примеры.

Ключевые слова:

Перевод, художественный фильм, специфика, название, стратегия, метод.

მეტაფორა და მეტონიმია ევფემიზმებში /ფრანგული, ესპანური და იტალიური ენების მასალაზე/

ციური ახვლედიანი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი,
საქართველო
ტელ. 599 508 607
E-mail: tsiuriakhvlediani@yahoo.com

ქეთევან გაბუნია
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი,
საქართველო
ტელ.: 599 201 099
E-mail: keti_gabunia@yahoo.com

რეზიუმე

სტატიაში განხილულია კონცეპტუალური მეტაფორები და მეტონიმები, რომლებიც საფუძვლად უდევს ევფემისტური ერთეულების სემანტიკის ფორმირებას; შედარებულია სამი რომანული ენის (ფრანგული, ესპანური და იტალიური), „სიმთვრალის“ ნომინატიური სფეროს ევფემიზმთა კონცეპტუალური საფუძვლები და მოცემულია შედარების შედეგები მეტაფორული და მეტონიმიური კონცეპტების პროდუქტიულობის შესახებ განსახილველ ენებში.

საკვანძო სიტყვები:

ევფემიზმი, მეტაფორა, მეტონიმია, კონცეპტუალური საფუძველი, კოგნიტიურ-კულტუროლოგიური მოდელი.

შესავალი

ევფემიზმები მიიჩნევა არა მხოლოდ მეორადი ნომინაციის ერთეულებად, არამედ ნებისმიერი სოციუმის წეს-ჩვეულებათა, ტრადი-

ციათა და მორალურ-ეთიკურ ფასეულობათა სისტემის შესახებ ინფორმაციის მატარებელ კულტურულ ნიშნებადაც. ევფემიზმის სემანტიკის ნაწილს წარმოადგენს კულტურული ინფორმაცია. ტერმინის „მნიშვნელობის კულტურული კომპონენტის“ შინაარსი ესადაგება კულტურული კონოტაციის ცნებას, რომელიც წარმოადგენს ლინგვოკულტუროლოგიის საბაზისო ტერმინს. ბუნებრივია, რომ ენობრივ ერთეულთა კულტურული ინტერპრეტაცია შეიძლება განხორციელდეს ერთი ლინგვოკულტურის ჩარჩოებშიც. ეს თვალნათლივ ჩანს იმ ფრაზეოლოგიური ერთეულების მასალაზე ჩატარებულ კვლევებში, რომლებშიც სორციელდება კულტურული სიმბოლოს აზრობრივი ფიქსირება.

ძირითადი ნაწილი

ევფემიის თეორიის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, მნიშვნელოვანი და შესაძლებელია ევფემიზმთა და მათში არსებულ კოგნიტიურ-კულტუროლოგიურ მოდელთა სემანტიკის შეპირისპირებითი ანალიზი, რაც გამოსატავს სამყაროს კონცეპტუალურ ხედვას მოცემულ ენობრივ სოციუმთა წარმომადგენლების მიერ.

ცნობილია, რომ ევფემიზმთა სემანტიკის ფორმირების პლანში ძალიან მნიშვნელოვანია მეტაფორული და მეტონიმიური გადატანები, რაც იძლევა ობიექტურ საფუძველს სხვადასხვა ენობრივ სისტემათა ევფემიზმების შეპირისპირებისათვის. მსგავსების მიხედვით, ტიპობრივ გადატანათა შეპირისპირებითი შესწავლის მნიშვნელოვნებას ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში აღნიშნავდა ვ. გაკი და მართლაც, გაკის მიერ გამოყოფილი ტიპობრივი მეტაფორული გადატანები აშკარად შეესაბა-

მება ჯ. ლაკოფისა და მ. ჯონსონის მიერ გამოყოფილ კონცეპტუალურ მეტაფორებს. პერსონიფიკაცია (ანთროპომორფიზმი) და ანიმიზმიც წარმოადგენენ სხვადასხვა ენათა შეპირისპირების საფუძველს, რადგან ეს მექანიზმები ხასიათდება სხვადასხვა პროდუქტიულობით განსხვავებულ ენობრივ სისტემაში. შესაბამისად, ტიპობრივ მეტაფორულ გადატანათა ან კონცეპტუალურ მეტაფორათა განხილვა და მათი პროდუქტიულობის განსაზღვრა ევფემიზმთა ფორმირებისას, შეიძლება გახდეს ობიექტური საფუძველი სხვადასხვა ენათა ევფემიზმების შეპირისპირებისათვის.

ამ თეზისის საილუსტრაციოდ განვიხილოთ „ლოთობის“ ნომინატიური სფერო. ეს სფერო პერსპექტიულია ევფემიზაციის მექანიზმთა შესწავლის პლანში, რადგან იგი უკავშირდება რა ერთ-ერთ უძველეს მანიკერებას, ხასიათდება სინონიმის მაღალი დონით განსახილველ ენებში (ფრანგული, ესპანური, იტალიური); თუმცა აღსანიშნავია, რომ იტალიური ენა შეიცავს გაცილებით ნაკლებ ევფემისტური პოტენციალის მქონე ლექსიკურ და ფრაზეოლოგიურ ერთეულებს, ვიდრე ფრანგული და ესპანური ენები. იტალიურ ენაში, თემატური სფეროს „ლოთობა“ აღსაწერად ევფემისტურ ერთეულთა შედარებით მცირე რაოდენობის გამოყენება განპირობებულია იმ ფაქტით, რომ იტალიურ სოციუმში, ტრადიციულად, ალკოჰოლის დიდი რაოდენობით მიღება არ მიიჩნევა მაღალ კულტურულ დონედ.

მოცემულ ენებში (ფრანგული, ესპანური, იტალიური), საუკუნეების მანძილზე გამოიყენება ევფემიზმები, რომელთა სემანტიკა მოდელირებულია ალკოჰოლის ხმარების პროცესის კონცეპტუალურ-მეტაფორული გააზრების ბაზაზე, ანუ ისეთ ქმედებაზე, რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ადამიანის ორგანიზმის ნორმალური არსებობისათვის; მაგალითად, „ლოთობის“ როგორც „წყურვილის“ მეტაფორული რე-

პრეზენტაცია ჩანს ფრანგულ ევფემიზმში **meurt-de-soif** – ‘ლოთი’, სიტყვა-სიტყვით: „წყურვილისაგან მომაკვდავი“.

ასეთივე კონცეპტუალური საფუძველის ბაზაზე, ალკოჰოლის სხვადასხვა ხარისხის შემცველი სასმელები მეტაფორულად მოიაზრება „წყლად“, რაც აუცილებელია ადამიანის ორგანიზმის ფუნქციონირებისათვის: ფრანგ. **eau-de-vie** ‘არაყი’, სიტყვა-სიტყვით: „სიცოცხლის წყალი“.

ალკოჰოლის გამოყენების პროცესი მეტონიმიურად რეპრეზენტირებულია სითხის მიღების სტერეოტიპული სცენარის სხვადასხვა ეტაპების საშუალებით:

ფრანგ. **prendre un verre** (სიტყვა-სიტყვით: „ჭიქის აღება“), **se rincer la dalle** (სიტყვა-სიტყვით: „ყელის გასველება“); ესპან. **empinar el codo** (სიტყვა-სიტყვით: „იდაყვის აწევა“); იტალ. **alzare il gomito** (სიტყვა-სიტყვით: „იდაყვის აწევა“).

როგორც ჩანს, „ლოთობის“ მეტონიმიურ წარმოდგენაში მონაწილეობს ადამიანის სხეულის სხვადასხვა ნაწილი, ძირითადად ის ნაწილი, რომელიც პასუხისმგებელია სითხიანი ჭურჭლის პირთან მიტანის მომენტში (იდაყვის სახსარი) და ისინიც, რომლებიც უზრუნველყოფენ სითხის მოხვედრას ორგანიზმში (ყელი).

„სმის“ წარმოდგენის ჩვენს მიერ განხილული მოდელი უკავშირდება სმას, როგორც ქმედებას/ქმედებებს, შესრულებულს ფიზიოლოგიური პროცესებით, ანუ ადამიანის სხეულის ფუნქციებით; აქედან გამომდინარეობს ევფემიზმების ფორმირებისას სომატიზმთა განსაკუთრებული აქტივობა. მითითებულ ენათა ნომინატიურ სფეროში, სომატიზმთა შემცველი მრავალი ევფემიზმი წარმოადგენს მთვრალ ადამიანს ისეთი კონტენერის სახით, რომელიც ბოლომდე სავსეა სითხით: ესპან. **Ponerse hasta los ojos / hasta las orejas / hasta las patas / hasta las cejas** (სიტყვა-სიტყვით: „დაღვევა თვალებამდე, ყურებამდე, ფეხებამდე, წარბებამდე“)

ან მიგვიტოთებს ორგანიზმის მთლიანობის დარღვევაზე (დაზიანებაზე): ფრანგ. **se péter la gueule** (სიტყვა-სიტყვით: „ხახის გასკდომა“).

რომანული ენებისათვის ასევე არსებითია ალკოჰოლის მიღების პროცესის გააზრება მეტაფორულად; კერძოდ, დათრობა აქტუალიზდება როგორც კვება მოზრდილი ადამიანისა: ესპან. **pasarse las cucharadas** ან ძუძუმწოვარა ახალშობილისა: ფრანგ. **téter** (სიტყვა-სიტყვით: „ძუძუს წოვა“), ფრანგ. **biberonner**, ნაწარმოები **biberon** –დან ‘ბოთლი ბავშვის კვებისათვის’, ესპან. **mamarse** (სიტყვა-სიტყვით: „რძის წოვა“), ესპან. **mamada** ‘დათრობა’ (სიტყვა-სიტყვით: „ბავშვის კვება“). როგორც ჩანს, ბავშვის კვების ხატი პროლუქტიულია „დათრობის“ მეტაფორულ კონსტრუირებაში.

„ლოთობის“ მეტაფორული რეპრეზენტაციისათვის ასევე მნიშვნელოვანი კონცეპტუალური საფუძველია ორგანიზმის სხვა ფიზიოლოგიური ასპექტებიც: ფრანგ. **caresser la bouteille** (სიტყვა-სიტყვით: „ბოთლის მოფერება“), **se noircir le nez** (სიტყვა-სიტყვით: „ცხვირის გაშავება“), **avoir le nez sale** (სიტყვა-სიტყვით: „ცხვირის გაჭუჭყიანება“), ფრანგ. **noir** ‘მთვრალი’ (სიტყვა-სიტყვით: „შავი“), ესპან. **tiznarse** (სიტყვა-სიტყვით: „ჭვარტლით გამურვა“).

არანაკლებ ამბივალენტურია ის ევფემიზმები, რომელთა სემანტიკის საფუძველს წარმოადგენს კონცეპტუალური მეტონიმია; კერძოდ, კონცეპტუალური მეტონიმიაა მთვრალი ადამიანის ემოციური მდგომარეობის შეცვლის ევფემისტური აღწერის საფუძველი, რაც გამოიხატება განწყობის გაუმჯობესებაში: ფრანგ. **gai**, ესპან. **alegre**, იტალ. **allegro** ‘მხიარული’; ასევე ინტელექტუალური შესაძლებლობების დარღვევაში: ფრანგ. **troublé** ‘შფოთვარე’; პერცეფციული შესაძლებლობების დარღვევაში: ფრანგ. **asommé** ‘გრძნობადაკარგული’; სხეულის ტემპერატურის აწვევაში: ესპან. **tibio** ‘თბილი, ცხელი’;

თანაბარი მოძრაობის უნარის დაკარგვაში: ესპან. **ir dando trompicones** ‘ბორძიკით სიარული’.

ევფემიზმების კონცეპტუალური ანალიზი გვიჩვენებს, რომ ესპანური ენისათვის უფრო მეტად, ვიდრე ფრანგულისა და იტალიურისათვის, დამახასიათებელია „ლოთობის“ კონცეპტუალურ-მეტაფორული გადააზრება „ავადმყოფობად“: ესპან. **estar bizzo** ‘თვალეების დაეღმება’, **estar/ir/ponerse ciego** ‘დაბრმავება’.

„დათრობის“ მეტაფორული რეპრეზენტაციის კონცეპტუალური ბაზა ასევე შეიძლება იყოს დათრობის გააზრება გულის დაავადებათა ტერმინებით (ესპან. **cardiaco**), დაავადებები, რომლებიც უკავშირდება სამოძრაო აქტივობის დაკარგვას (ესპან. **darse unos calambrazos** სიტყვა-სიტყვით: „კრუნჩხვების განცდა“), გაციებასთან დაკავშირებული დაავადებები (ესპან. **constiparse, acatarrarse, moco** ‘დათრობა’, სიტყვა-სიტყვით: „ცინგლი, წვინტლი“). აღსანიშნავია, რომ „ავადმყოფობის“ კონცეპტუალური სემანტიკის აქტივიზაციას შეიძლება ახლდეს სუბკონცეპტ „მკურნალობის“ აქტივიზაცია, ანუ ალკოჰოლის წარმოდგენა წამლად (ფრანგ. **anti-grippe** სიტყვა-სიტყვით: „გრძობის საწინააღმდეგო“).

სიმთვრალის მეტაფორული გადააზრება ადამიანის ორგანიზმის სიცოცხლისუნარიანობის შეწყვეტასაც უკავშირდება, ანუ ადამიანის დაღუპვას: ფრანგ. **mort** ‘მკვდარი’, **asphyxia** ‘გაგუღული’, ესპან. **tener enzima un trancazo de muerte** სიტყვა-სიტყვით: „სიკვდილის დარტყმის ქვეშ ყოფნა“, **ahogado** ‘დამხრჩვალი’.

აღსანიშნავია, რომ სიკვდილის კონცეპტი მნიშვნელოვანია არა მარტო მთვრალი მდგომარეობის მეტაფორული კონსტრუირების პლანში, არამედ გარკვეულწილად, ალკოჰოლური სასმელის ცარიელი კონტეინერის კონცეპტუალიზაციისათვისაც, რომელიც, ბევრ შემთხვევაში, პერსონიფიცირებულია:

ფრანგ. **cadavre** სიტყვა-სიტყვით: „ცხედარი“. რომანულ ენებში, პერსონიფიკაციას განსაკუთრებული როლი აქვს რეპრეზენტაციის პლანში – როგორც სპირტიანი სასმელების კონტეინერის სახით, ასევე თვით სასმელისა და ადამიანის სახით, ხასიათისა და გარეგნობის განსაზღვრული თვისებებით: ფრანგ. **serieux** (‘არაყი’), **blonde** (ღუდი, სიტყვა-სიტყვით: „ქერა“), **rouquin** (ღვინო, სიტყვა-სიტყვით: „წითურთმიანი“), **galopin** (კათხა ღუდი, სიტყვა-სიტყვით: „ხუმარა“), ესპან. **amable** (სიტყვა-სიტყვით: „მეგობრული“), **rubia** (ღუდი, სიტყვა-სიტყვით: „ქერა“), **pochola** (ღუდი, სიტყვა-სიტყვით: „სიმპატიური“).

დასკვნა

აღკოჭოლის მიღების პროცესისა და შედეგის მეტაფორული რეპრეზენტაცია, წარმოდგენილი რომანულ ენებში კონცეპტთა პროდუქტიულობით, უკავშირდება ადამიანის ორგანიზმის კონკრეტულ ფუნქციებს და მიიხსნება კულტურულ-სპეციფიკურ მოვლენად.

ლიტერატურა

1. Гак В. (1977): Сопоставительная лексикология. Москва
2. Lakoff G., Johnson M. (1980): *Metaphors we live by*. The University of Chicago Press

Метафора и метонимия в эвфемизмах (на материале французского, испанского и итальянского языков)

Ахвледиани Циური Александровна
Тбилисский государственный университет
Факультет гуманитарных наук
Пр. И. Чавчавадзе №36, 0179, Тбилиси, Грузия
Тел.: 599 508 607
E-mail: tsiuriakhvlediani@yahoo.com

Габуня Кетеван Учаевна
Тбилисский государственный университет
Факультет гуманитарных наук
Пр.И. Чавчавадзе №36, 0179, Тбилиси, Грузия
Тел.: 599 201 099
E-mail: keti_gabunia@yahoo.com

Резюме

В статье рассмотрены концептуальные метафоры и метонимии, лежащие в основе формирования семантики эвфемистических единиц; сравнены концептуальные основания эвфемизмов трех романских языков (французского, испанского и итальянского) номинативной области „пьянство“, делая выводы о продуктивности метафорических и метонимических концептов в каждом конкретном из указанных языков.

Ключевые слова:

эвфемизм, метафора, метонимия, концептуальное основание, когнитивно-культурологическая модель.

**Metaphor and Metonymy in
Euphemism
(Bases on French, Spanish and Italian
languages)**

Tsiuri Akhvlediani

Tbilisi State University

Humanitarian science faculty

36, Chavchavadze ave., 0179, Tbilisi, Georgia

Tel.:599 508 607

E-mail: tsiuriakhvlediani@yahoo.com

Ketevan Gabunia

Tbilisi State University

Humanitarian science faculty

36, Chavchavadze ave., 0179, Tbilisi, Georgia

Tel.:599 201 099

E-mail: keti_gabunia@yahoo.com

Abstract

The article describes the conceptual metaphor and metonymy, which underlying the formation of the semantics of the euphemisms units; it compares the conceptual grounds of euphemisms three of three Romance languages (French, Spanish and Italian) nominative area "drunkenness" and making conclusions about the productivity of metaphorical and metonymical concepts in each of the analyzed languages.

Keywords:

Euphemism, metaphor, metonymy, conceptual foundation of cognitive-cultural model.

Benefits of the Student-Centered Method

Rusudan Gotsiridze
Georgian Technical University
Department of Liberal Sciences
77 Kostava str. 0175, Tbilisi, Georgia
Tel.:593 301 342
E-mail: rusudangotsiridze@gmail.com

Abstract

In the education world, the term student-centered classroom is one we hear a lot. Many educators would agree that when it comes to 21st-century learning, having a student-centered classroom is certainly best practice. Student centered teaching shifts the focus from the teacher to the student. Learner-centered methods have repeatedly been shown to be superior to the traditional teacher-centered approach.

Theoretical and methodological research of the scholars, concerned with philosophical, psychological, linguistic, general pedagogical and methodological issues of foreign language teaching, has shown that implementation of learner-centered approach in teaching of foreign language at the higher educational institution is a complex and under-researched psychological and educational problem.

Keywords:

Learner-centered teaching, learner-centered approach, language acquisition, foreign language communication activity.

Introduction

Learner-centered teaching methods shift the focus of activity from the teacher to the learners. These methods include active learning, in which students solve problems, answer questions, formulate questions of their own, discuss, explain, debate, or brainstorm during class; Rather than sitting in class copying from a book, or listening passively to a teacher, student-centered learning encourages the

students to be actively engaged in their learning, and can promote higher engagement and motivation in the classroom. Student centered teaching has been proven effective in its ability to teach students the material they need to know. The active nature of the student centered approach helps students actually work with information, and therefore learn it and store it. In a student centered approach, it is the students themselves who are responsible for the success of a lesson and therefore they tend to feel more responsible for the success of their own learning.

Main Body

Language, with its multiple and complex functions, has long been considered in isolation from humans. Kapretev (2006) states that language can't be taught, you can only create conditions for its learning and if you can't learn foreign language well, then poor knowledge is useless.

As noted by Brown (2000), starting point of the modern theory of learner-centered teaching is the idea of an individual as a purpose and factor of the educational process; the main objective of an educator is to create the conditions necessary for harmonious development of student's personality in the learning process.

The concept of 'condition' as a philosophical category expresses the ratio of the subject to the surrounding phenomena, without which it can't exist. The fact that target language in the natural environment is both a means of communication and understanding between people in everyday life reinforces the importance of a pragmatic process of language acquisition and motivates people's foreign language communication activity. However, foreign language in isolated conditions is only an instructional medium which mainly exists as a means of communication in the process of in-class activities.

However, according to Galskova (2008) mastering of foreign language outside the country of the target language and without immediate contact with native speakers will be efficient, if it gains all the possible characteristics of the natural process of language acquisition, and as close as possible approaches with its main parameters to the conditions of facilitated language acquisition in the natural language environment.

Different methods of teaching foreign languages, arising from time to time, often have some success among the creators only and don't have theoretical basis and scientific-methodological generalizations for the common use in foreign language teaching at the higher educational institution [Matukhin & Gorkaltseva, 2015].

The study of the foreign language teaching problems can be approached based on the modern theory of learning which is an essential part of humanistic approaches to learning of foreign languages: cultural, learner-centered, individual creativity, etc. [Obskov, et al., 2015].

One of the features of foreign language teaching is integration of professional and educational activities of teachers with learning and cognitive activities of students. The main functions of a teacher in this process are organization and management of foreign language activities in order to help students develop the necessary skills for becoming independent learners. Dickinson suggests that this can be achieved by providing learners with opportunities to practise language for communicative purposes: "... many teachers using such (communicative) methods are, consciously or not, involved in helping their students to learn how to learn" [1987: 34].

The objective of a student is mastery of different types of speech activity in the foreign language, continuous development of skills and vocabulary that is mastering 'foreign language experience' [Frei, 2007].

Hence, a learner-centered methodology, based on real-life needs and the communicative goals of the student and also the practice of communicative methods, plays a significant role in learner training.

This assumption is supported by Nunan in his definition of "the good communicative lesson": The "good communicative lesson" will:

- derive input from authentic sources;
- involve learners in problem-solving activities in which they are required to negotiate meaning;
- incorporate tasks which relate to learners' real-life communicative needs;
- allow learners choices in what, how and when to learn;
- allow learners to rehearse in class real-world language tasks;
- require learners and teachers to adopt a range of roles, and use language in a variety of settings in and out of the classroom;
- expose learners to the language as system;
- encourage learners to develop skills in learning how to learn;
- integrate the four macro-skills;
- provide controlled practice in enabling micro-skills (reading, listening, speaking and writing) ;
- involve learners in creative language use [Nunan, 1989: 132].

In student centered teaching, we center our planning, our teaching, and our assessment around the needs and abilities of our students. The main idea behind the practice is that learning is most meaningful when topics are relevant to the students' lives, needs, and interests and when the students themselves are actively engaged in creating, understanding, and connecting to knowledge. Students will have a higher motivation to learn when they feel they have a real stake in their own learning.

Instead of the teacher being the sole, infallible source of information, the teacher shares control of the classroom and students are allowed to explore, experiment, and discover on their own. The students are not just memorizing information, but they are allowed to work and use the information alone or with peers. Their diverse thoughts and perspectives are a necessary input to every class. The students are given choices and are included in the decision-making processes of the classroom. The focus in these classrooms is on options, rather than uniformity.

Essentially, learners are treated as co-creators in the learning process, as individuals with ideas and issues that deserve attention and consideration. Student centered teaching helps us design effective instruction for every member of the classroom, no matter what his or her diverse learning needs. By its nature, student centered teaching is adaptable to meet the needs of every student. In order to design any lesson, the teacher must first think of the students, rather than the content, and so we are assured that the students' needs are being considered.

The creativity inherent in student-centered activities adds an element of surprise to each class, and foreign language students tend to bore less often. As a result, even though foreign language learning can be frustrating and intimidating the students stay engaged and willing to learn. Even beyond learning what they need to know, students benefit from a less academic side effect of student centered teaching - they learn how to feel good about themselves. As they take on new responsibilities and succeed with these responsibilities, they come to gain confidence in themselves as competent problem-solvers. In a student centered approach, it is the students themselves who are responsible for the success of a lesson and therefore they tend to feel more responsible for the success of their own learning.

For foreign language students, especially, the student-centered method has special benefits. When students use the language, they retain it more than if they would simply hear it. They get practice in actively producing meaningful conversation and they take a more direct route to fluency than they would take, for example, if they filled out worksheets with sentences created by the teacher.

Conclusion

Student centered teaching has been proven effective in its ability to teach students the material they need to know. There are numerous studies that followed students who were taught in the student centered approach that found that not only does student motivation increase, but actual learning and

performance do as well. Students taught in a student centered classroom retain more material for longer periods of time. In order to learn, the brain cannot simply receive information; it must also process the information so that it can be stored and recalled. The active nature of the student centered approach helps students actually work with information, and therefore learn it and store it.

Literature

1. Brown H. D. (2000): Principles of Language Learning and Teaching. White Plains: Longman
2. Dickinson L. (1987): Self-instruction in language learning. Cambridge: Cambridge University Press. 154pp.
3. Frei S. et al. (2007): Practical Strategies for Successful Classrooms. Integrating Technology into the Curriculum. Huntington Beach, CA: Shell Education
4. Galskova N. D. (2008): Современная методика обучения иностранным языкам [A Handbook for Teachers of modern methods of teaching foreign language]. Moscow: Arcti Publishers.
5. Каптерев П. Ф. (2006): Педагогика – наука или искусство? Избранные педагогические сочинения [Pedagogy – science or art? Selected pedagogical papers]. Moscow: Pedagogika Publishers
6. Matukhin D. L., & Gorkaltseva E. N. (2015): Teaching Foreign Language for Specific Purposes in Terms of Professional Competency Development. Mediterranean Journal of Social Sciences MCSER Publishing, 6(1). 525-531
7. Nunan D. (1989): Designing Tasks for The Communicative Classroom. Cambridge: Cambridge University Press
8. Obskov A. V. et al. (2015): Educational Aspects of Interactive Foreign Language Learning in High Schools. Mediterranean Journal of Social Sciences MCSER Publishing, 6(4), S. 4, 178-182.

სტუდენტზე ორიენტირებული მეთოდის უპირატესობები

რუსუდან გოცირიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი
კოსტავას ქ. №77, 0175, თბილისი, საქართველო
ტელ.: 593 301 342
E-mail: rusudangotsiridze@gmail.com

რეზიუმე

განათლების სამყაროში ბევრს საუბრობენ ტერმინზე „სტუდენტზე ორიენტირებული კლასი“. ბევრი მასწავლებელი თვლის, რომ როდესაც საქმე XXI საუკუნის განათლებას ეხება, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება ერთ-ერთი საუკეთესო პრაქტიკაა. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პირობებში აქცენტი მასწავლებლიდან სტუდენტზე გადადის. არაერთხელ დადასტურდა სტუდენტზე ორიენტირებული მეთოდების უპირატესობა ტრადიციულ მეთოდებთან შედარებით.

მკვლევართა თეორიულმა და მეთოდოლოგიურმა შრომებმა, რომლებიც ეხება უცხოური ენის სწავლების ფილოსოფიურ, ფსიქოლოგიურ, ენობრივ, ზოგად პედაგოგიურ და მეთოდოლოგიურ საკითხებს, აჩვენებს, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უცხოური ენის სწავლების პროცესში სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომის დანერგვა რთული და არასაკმარისად შესწავლილი ფსიქოლოგიური და საგანმანათლებლო პრობლემაა.

საკვანძო სიტყვები:

მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა, ენის დაუფლება, უცხოურ ენაზე კომუნიკაცია.

Преимущества метода, ориентированного на студента

Гоциридзе Русудан Арчиловна
Грузинский Технический Университет
Департамент либеральных наук
Ул. Костава №77, 0175, Тбилиси, Грузия
Тел.: 593 301 342
E-mail: rusudangotsiridze@gmail.com

Резюме

В мире образования много говорится о термине «класс, ориентированный на студента». Многие преподаватели согласны с тем, что когда речь заходит об образовании в XXI столетия, класс, ориентированный на ученика, безусловно, является наилучшей практикой. Обучение, ориентированное на студента, переносит акцент с учителя на ученика. Методы, ориентированные на ученика, неоднократно демонстрировали превосходство над традиционным подходом, ориентированным на учителя.

Теоретико-методологические исследования ученых, занимающихся философскими, психологическими, лингвистическими, общепедагогическими и методологическими вопросами обучения иностранному языку, показали, что внедрение подхода, ориентированного на студента в обучении иностранному языку в высшем учебном заведении, является сложной и недостаточно изученной психологической и образовательной проблемой.

Ключевые слова:

обучение ориентированное на студента, подход ориентированный на студента, освоение языка, коммуникация на иностранном языке.

სარკის ესთეტიკა სტენდალის შემოქმედებაში

ნანა გუნცაძე
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ჭავჭავაძის გამზ. N36, 0179, თბილისი,
საქართველო
ტელ.: 593 646 000
E-mail : nana_guntsadze@yahoo.com

ქეთევან ქუსიკაშვილი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი,
საქართველო
ტელ.: 593 243 123
E-mail: ketevan.kusikashvili001@humfac.tsu.edu.ge

რეზიუმე

რეალისტი მწერლის მიზანია ზუსტად ასახოს მის გარშემო არსებული სამყარო. მწერალი იკვლევს საზოგადოების ყველა ფენას და ადამიანებს შორის არსებულ კომპლექსურ ურთიერთობებს.

სტენდალის აზრით, რომანი გვთავაზობს ადამიანური გრძნობების კავშირს ეთიკურ, ესთეტიკურ და წმინდად ლიტერატურულ ღირებულებებთან. რომანი არ არის უბრალოდ რეალობის მარტივი წარმოდგენა, ის წარმოგვიდგენს შესაძლებელსაც, ამ შესაძლებლის შეცნობას ლიტერატურა წარმოსახვის საშუალებით აღწევს, რასაც ადასტურებს სტენდალის რომანების ფრაზეოლოგიური ანალიზი.

ამრიგად, სტენდალთან სინამდვილე წარმოსახვითის გავლით იქმნება, მაგრამ ამ შემთხვევაში წარმოსახვითი ნამდვილ ფაქტებს ემყარება. სტენდალი სარკის ესთეტიკას იყენებს იმისათვის, რომ სინამდვილე შექმნას. ერთი შეხედვით, სარკის ფენომენი ობიექტური ხედვის პრინციპს ეფუძნება, მაგრამ მეორე მხრივ, არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ სარკე მხოლოდ იმას ასახავს, რასაც მის წინ მოვათავსებთ. ასე რომ, შემოქმედს

თავისუფალი არჩევანი აქვს, მისი გადასაწყვეტია, რა კუთხით მოათავსებს სარკეს „შარაგზაზე“.

საკვანძო სიტყვები:

რეალიზმი, სარკის ესთეტიკა, ღირებულებები, ემოცია, სიმართლე, სუბიექტივიზმი, პროტაგონისტი.

შესავალი

სტენდალი იმ პერიოდში იწევს მოღვაწეობას, როდესაც კლასიკური დოგმების უარყოფა იწყება. ამგვარად, ის რომანტიზმის სათავეებთან დგას ვაჰიუგოს გვერდით. სწორედ სტენდალს ეკუთვნის რომანტიზმის ერთ-ერთი პირველი მანიფესტი „რასინი და შექსპირი“. მიუხედავად იმისა, რომ სტენდალი რომანტიზმის შესახებ თეორიულ ნაშრომში განსაკუთრებულ ინტერესს გამოთქვამს ამ ტენდენციის მიმართ, მისი შემოქმედება რომანტიზმის ჩარჩოებში არ თავსდება, ამასთანავე, მას გადაჭრით რეალისტსაც ვერ ვუწოდებთ. უ. ბლენის აზრით, ეს პრობლემა შეიძლება მისი ეგოს ორმაგ ბუნებასთან იყოს დაკავშირებული. როგორც ის აღნიშნავს, სტენდალი ფსიქოლოგიურად არამყარია, ამიტომ მასთან რაიმე კონკრეტულზე საუბარი ძნელია. ეს თვისება არც მის შემოქმედებაში იმალება. ხშირად ნაწარმოების სტრუქტურაც ამ ფაქტზე მიუთითებს („წითელი და შავი“, „რასინი და შექსპირი“).

„რომანი არის სარკე, რომელსაც გზის გასწვრივ ჩამოატარებენ“ – წერს სტენდალი რომანში „წითელი და შავი“ 1830 წელს. რეალისტი მწერალი ამრავლებს რეალურ ეფექტებს. რეალისტურ რომანში ნარაციის გვერდით დეტალურ აღწერას დიდი ადგილი უჭირავს. თითოეულ პერსონაჟთან ადაპტირებული ენის და რეგისტრის გამო-

ყენება ხელს უწყობს სინამდვილის ილუზიის შექმნას.

ტერმინი „რეალიზმი“ სტენდალთან ორმაგ სახეს იღებს. ერთი მხრივ, ავტორი რომანისა „წითელი და შავი“ რეალისტია, მაგრამ მის მიერ შექმნილი სინამდვილე სუბიექტურია. ავტორი სინამდვილის გადმოცემას მოითხოვს და პარალელურად, ჩართულობის სისშირე ნაწარმოებში ობიექტურობას გამოიხატავს. თუმცა ობიექტური რეალობის შექმნა, ცხადია, სინამდვილის შესწავლით იწყება და სინამდვილის გადმოცემას მოითხოვს.

სიმართლე სტენდალთან შემეცნებითი ღირებულებისაა და არა სოციოლოგიური და ისტორიული. სტენდალი იცნობს XVIII ს-ის მატერიალისტურ ფილოსოფიას, ხშირად საუბრობს ფაქტების და დაკვირვების მნიშვნელობაზე და მიაჩნია, რომ რაც არის ნამდვილი, ის რეალობის ადეკვატურია, თუმცა, ზუსტად არ ემთხვევა ფაქტებს. ლიტერატურა მისთვის არ არის დოკუმენტი, რომელიც შეესაბამება ფაქტებს. სტენდალისთვის რომანი არ ცდილობს დეტალების გადმოცემას, არამედ ეხება ცხოვრების არსებით სიმართლეს, ე.ი. ცხოვრების მნიშვნელოვან საკითხებს და ბაღებს ძველ პრობლემას, როგორ უნდა იცხოვრო უკეთ. იგი ებრძვის ნაწარმოებში უსარგებლო დეტალებით გამოწვეულ ბუნდოვანებას.

ძირითადი ნაწილი

ნებისმიერი ადამიანი, საკუთარი თუ სხვისი ცხოვრების აღწერის პროცესში აუცილებლად რთავს წარმოსახვითს, რადგან გამოირიცხებია, თხრობის და მოქმედების მიმდინარეობის დრო ერთმანეთს დაემთხვეს. მთავარია, რომ თხრობის საწყისი წერტილი ნამდვილი ფაქტია, თხრობის პროცესში კი, მეტ-ნაკლებად, ხდება სინამდვილიდან გადახვევა. ამგვარად, ხდება რეალო-

ბის ინტერპრეტაცია. სწორედ ამ პრინციპით ქმნის სტენდალი სინამდვილეს. მის რომანს ყოველთვის ნამდვილი ფაქტი უდევს საფუძვლად, მოქმედების განვითარების პარალელურად კი ავტორი გარკვეულწილად სცილდება მშრალ ფაქტებს და წარმოსახვითის საშუალებით უფრო მრავალფეროვანს ხდის ამბავს.

სტენდალის რომანებში სიმართლეც არის და გამონაგონიც. „პარმის სავანის“ ავტორი ყოველთვის ცდილობს დაადგინოს საზღვარი სინამდვილესა და გამონაგონს შორის, მკითხველს ისეთი რამ შესთავაზოს, რაც სიმართლესთან ახლოს იქნება. სტენდალი ყოველთვის სიმართლის ძიებაშია; მას სურს, პასუხი გასცეს უამრავ კითხვას: რა არის ადამიანი, რა არის სიცილი, რა არის შიმშილი, რა არის სინდისის ქენჯნა, რა არის ბედნიერება, ან უბედურება? ამ კითხვებზე პასუხების გასაცემად ადამიანმა ყველაფერი უნდა შეიგრძნოს იმისთვის, რომ შემდეგ ეს შეგრძნებები სხვასაც გაუზიაროს.

მწერალი უპირისპირდება აკადემიზმსა და სიყალბეს. იგი მიიჩნევს, რომ ხელოვანისათვის პირველი ნაბიჯი შემოქმედებაში ბუნების ახლოდან შესწავლაა. ნაწარმოებში „მხატვრობის ისტორია იტალიაში“ სტენდალი წერს: „[...] ვერანაირი აღწერა ცხოველთა ფეხით გათელილი თოვლისა ვერ შეუქმნის მკითხველს ამ სურათზე ნათელ შთაბეჭდილებას [...], [Stendhal 1996:212]. სტენდალი ამ მაგალითით იმ ფაქტის კონსტატაციას ახდენს, რომ ხელოვანი ემოციას ვერ შექმნის, თუ თავად შესწავლილი და გააზრებული არ აქვს ესა თუ ის გრძნობა, აქედან გამომდინარე, ვერც მკითხველი შეიგრძნობს ემოციის სრულ სიმართლეს.

„პარმის სავანის“ ავტორს განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს სინამდვილის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ მისთვის საწყისი წერტილი ყოველთვის ნამდვილი ამბავია, მიიჩნევს, რომ ნამდვილი ფაქტი ხშირად ხელოვნებისთვის არაფერს ნიშ-

ნავს. სტენდალმა ასეთი ფორმულა შეიმუშავა: „ხელოვნება გარკვეულწილად სიცრუეს ემყარება“ [Stendhal 1914:181], სტენდალისათვის მოთხრობა, კომედია თუ მხატვრული ტილო, ხელოვნების ნებისმიერი ნიმუში არის მშვენიერი ტყუილი, ანუ, ის მზად არის შეაღამაზოს ნებისმიერი დეტალი, რომელიც მისი გემოვნების მოთხოვნებს არ შეესაბამება. სტენდალის აზრით, ბუნებაში არ არსებობს ფენომენი, რომელიც პირდაპირი კოპირების გზით შეიძლება შემოვიდეს ხელოვნებაში. სტენდალი აკრიტიკებს იმ მხატვრებს, რომელთაც არ შეცვალეს ნაკლი მოდელში. ცხოვრებაში, ისევე როგორც ლიტერატურაში, სტენდალი მაშინვე წყვეტს კავშირს სინამდვილესთან, როგორც კი უღირს ფენომენს გადააწყდება, რის შემდეგაც თავად იწყებს სინამდვილის შექმნას. ესთეტიკურ ელემენტებს მოკლებული ფენომენის ხელოვნებაში წარმოჩენა მისთვის მიუღებელი იყო და შემოქმედის უგემოვნობაზე მიუთითებდა. შეიძლება ითქვას, რომ ოცი წლის ასაკიდან სტენდალი ეძებდა და ირჩევდა ისეთ სინამდვილეს, რომელიც განხილვის ღირსი იქნებოდა. ამგვარად, მისი ერთ-ერთი მოთხოვნა ხელოვანის მიმართ იყო არა მხოლოდ ბუნების შესწავლა, არამედ მისი შერჩევა. მწერლისთვის მნიშვნელოვანია ერთი კონკრეტული ფენომენის კვლევა, მისი ძირეული შესწავლა და განცდილი გრძნობების მთელი სიმძაფრით გადმოცემა.

სტენდალისთვის მიუღებელია იმ მხატვრის ნამუშევარი, რომელიც ერთ კომპოზიციაში აერთიანებს რამდენიმე მნიშვნელოვან დეტალს; ის მოითხოვს კომპოზიციის დეტალებისგან დაცლას. სტენდალი აღფრთოვანებულია ლეონარდო და ვინჩის ტექნიკით, რომელმაც „საიდუმლო სერობის“ შექმნისას დაარღვია ისტორიული ფაქტი, იმ ეპოქაში მაგიდის გარშემო არ სხდებოდნენ, როგორც ეს დღეს არის მიღებული. ამის გამო მხატვარი ხშირად კრიტიკის საგანი

ხდებოდა, მაგრამ ცოტა ვინმე თუ ხვდებოდა, რომ და ვინჩიმ ეს განზრახ გააკეთა. მას რომ სუფრასთან ფეხმორთხმით მსხდომნი დაეხატა, მაყურებელთა ყურადღება ამ დეტალზე გადავიდოდა, რადგან უმრავლესობა არ იცნობს ძველ ადათ-წესებს. ისინი დაინტერესდებოდნენ იმით, რაც რეალურად ნახატში მეორეხარისხოვანია, ამის გამო კი ვერ დაინახავდნენ მთავარს, ამ ნახატში მთავარი მაცხოვრის სახეა, მის მიერ გამოხატული ემოცია [Stendhal 1996]. სტენდალს მიაჩნია, რომ სარკემ თავისი ფერადოვნებით არ უნდა მიიქციოს ყურადღება, არამედ მან უნდა მოგვცეს მკაფიო გამოსახულება იმისა, რასაც აირეკლავს. სტენდალს იზიდავს ლეონარდო და ვინჩის შემოქმედება, რადგან ის იყო პირველი, ვინც ადამიანის ანატომია და მისი შინაგანი განწყობა ერთმანეთს დაუკავშირა. „დარდი ფიზიკურ სისუსტეს იწვევს: კუნთების მოღუნებას, მადის დაკარგვას, პულსის შესუსტებას, კანის დანაოჭებას, სახის გაუფერულებას, გულისა და სისხლძარღვების შესუსტებას, [...] სუნთქვის გახშირებას და დამძიმებას [...]“ [Stendhal 1996: გვ.219] - ასეთი დასკვნა გამოიტანა მხატვარმა ადამიანებზე დაკვირვების შემდეგ. შესაბამისად, ის პერსონაჟის დახატვამდე სწავლობდა მის განწყობას, რის შემდეგაც მის ფიზიკურ მხარეზე იწყებდა ფიქრს. აქედან გამომდინარე, და ვინჩის მიერ წარმოდგენილი პერსონაჟი ნამდვილია, რადგან მისი სულიერი და ფიზიკური მდგომარეობა ერთიანია. სწორედ ასეთი ხელოვნების მომხრე იყო სტენდალი, ისიც მთელი სიცოცხლის მანძილზე აკვირდებოდა და სწავლობდა ადამიანების შინაგან სამყაროს.

სტენდალისთვის მნიშვნელოვანია პერსონაჟებისა და პეიზაჟების ისეთი სახით წარმოდგენა, როგორსაც ჩვენ მათ ბედნიერების წუთებში აღვიქვამთ. ამგვარად, როდესაც სტენდალი ფენომენთა „გაკეთილშობილებაზე“ საუბრობს, ის მათში ელემენტების შეცვლას კი არ გულისხმობს, უბრალოდ

მათ ინტეგრაციას გვთავაზობს იმ მოთხოვნების მიხედვით, რომელიც ბედნიერების მომენტში უჩნდება ადამიანს.

ჟ. ბლენის აზრით, სტენდალისეული იდეალიზაცია სინამდვილისათვის ზურგის შექცევას არ ნიშნავს [Blin 1998]. მისი აზრით, ხელოვანმა რეალობაში უნდა აღმოაჩინოს გრძობა, ემოცია, გარკვეული წესრიგი, ჩაუღრმავდეს მას და კონკრეტული მახასიათებლები შეისწავლოს, ხელოვანი ცდილობს რეალური სურათიდან შეარჩიოს მხოლოდ ის შტრიხები, რომელიც დადებით ემოციას იწვევს. ამ მხრივ სტენდალისეული იდეალიზაცია რაფაელის იდეალიზაციას ჰგავს პორტრეტებში. რაფაელი დაუპირისპირდა აკადემიზმს და საკუთარი კარიერა კვლევას მიუძღვნა, ის ადამიანების შინაგან სამყაროს სწავლობდა, ეძებდა იდეალურ მშვენიერებას. მისი შემოქმედება ანტიკურ კულტურას უკავშირდებოდა, კლასიკური წყაროები კი ყველაზე მძაფრად მის შემოქმედებაში იდეალიზირებულ მადონათა სერიაში ჩანს. რაფაელი შეიძლება იდეალური მშვენიერების მხატვრად მივიჩნიოთ. მის მიერ შექმნილი კომპოზიცია გეომეტრიულია, მაგრამ ეს არ უშლის ხელს იმაში, რომ ნახატზე წარმოდგენილი პერსონაჟები აამოძრაოს. მხატვრობის სწორედ ეს ხერხი იზიდავდა სტენდალს, მას სურდა, ხელოვნების ნიმუშს მისთვის მშვენიერება და ამავე დროს, სულის მოძრაობები ეჩვენებინა.

სტენდალი მიიჩნევს, რომ ხელოვანმა უნდა გააქროს ყველა ის დეტალი, რომელიც არაფრისმოქმედი. ის თვლის, რომ ესკიზი უფრო მეტ სიამოვნებას ანიჭებს მაყურებელს, ვიდრე დასრულებული ტილო, რადგან წარმოსახვის უნარს ყოველდღე სხვადასხვანაირად შეუძლია დაასრულოს ის. ცოტა მოგვიანებით, მან რომანებში კარგად გამოიყენა ეს მიგნება.

ამდენად, სტენდალი არასდროს ტვირთავს თხრობას ზედმეტი დეტალებით, მატერიალისტური აღწერებით, მისი აზრით,

დესკრიფციული პასაჟების არსებობა ტექსტში ხელს უშლის მკითხველს ახალ სამყაროში შედგას ფეხი. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, სტენდალი მეტისმეტად არიდებს თავს აღწერებს და გაურკვეველობაში ტოვებს მკითხველს, როდესაც არ გვაძლევს ინფორმაციას მადამ დე რენალისა და მატილდ დე ლა მოლის კაბების ფორმებთან დაკავშირებით. სინამდვილეში კი ტექსტში ვკითხულობთ, რომ მადამ დე რენალი, ისევე როგორც მატილდ დე ლა მოლი, მოდის თანახმად ღრმად ამოდებულ კაბებს ატარებდნენ [სტენდალი, 1979:88; 96-98]. ამ შემთხვევაში, სტენდალს სურს, მკითხველს ყურადღება არ გაეფანტოს თვალისმომჭრელ დეტალებზე და სრულყოფილად აღიქვას გრძობების განვითარება, ამიტომ, მხოლოდ ერთი სიტყვით გვიხატავს მათ ჩაცმულობას. რადგანაც ტექსტში განვითარებული მოვლენების თარიღი მითითებულია, მკითხველს ზედმეტი ძალისხმევის გარეშე შეუძლია წარმოიდგინოს, თუ რა სტილის კაბებზეა საუბარი. მას დეტალურად რომ აღეწერა კაბა, მაშინ მკითხველი იძულებული იქნებოდა, წამიერად გათიშულიყო მოქმედებიდან და წარმოსახვის უნარის საშუალებით წარმოედგინა კონკრეტული კაბა.

რეალისტებისგან განსხვავებით, სტენდალი დიდ ყურადღებას არ ანიჭებს მოქმედების ადგილს. ერთ შემთხვევაში, მოქმედების განვითარებისთვის მან შეარჩია ქალაქი ბეზანსონი, სადაც არასდროს ყოფილა, და რომანში აღწერილი ქალაქი სრულებით არ ემთხვევა რეალურ ბეზანსონს. ყველა შეთანხმდა იმაზე, რომ პარმა ფანტაზიის ნაყოფია, უტოპიური ქალაქი. ქალაქი, რომელიც ნაწარმოებშია აღწერილი, XVIII-XIX საუკუნეების პარმას სულაც არ ჰგავს, ის რენესანსის რომს უფრო გვაგონებს. მიუხედავად ამისა, სტენდალი კონკრეტულ მისამართებს ასახელებს. მკითხველმა პერსონაჟების საცხოვრებელი ადგილის მისამართებიც იცის და მათი გადაადგილების მარშრუტიც.

ამასთან აღსანიშნავია, რომ მის თითოეულ პერსონაჟს რეალურ ცხოვრებაში თავისი პროტოტიპი ჰყავს. რომანში „პარმის სავანე“ ომის სცენის დასახატად ის იყენებს დრაგუნთა VI პოლკის ამბებს, რომელშიც თავად მსახურობდა. ხშირად ცნობილი ადამიანების გვარებს ასახელებს, ან მისთვის ნაცნობი ადამიანებს სახელების აკრონიმებს იყენებს. მას რომანში ისტორიული ფაქტები შემოაქვს და აქედან გამომდინარე, რეალურ გვარებს ასახელებს. ამის ერთ-ერთი მაგალითია რომანში „პარმის სავანე“ დასახელებული ფაქტი: „ნაპოლეონის დამსობის შემდეგ, ზოგიერთი მილანელი გავლენიანი პირის წაქეზებით, ქუჩაში მოკლეს გრაფი პრინა, იტალიის მეფის ყოფილი მინისტრი [...]“ [სტენდალი 1965:39]. გრაფი პრინა (1766-1814) იტალიის სამეფოს ფინანსთა მინისტრი იყო, 1814 წლის 20 აპრილის აჯანყებისას ის მართლაც მოკლეს. სტენდალი ხშირად სახელებს ან ანაგრამით ცვლიდა, ან მიმსგავსებულ სახელს იყენებდა. მაგ.: ეჭვგარეშეა, რომ სახელი კლელია კლერიას - ალექსანდრე ფარნეზის საყვარლის სახელის - ერთ-ერთი ვარიაციაა. 1834 წ. 4 მაისს შიშულ გოტიერისადმი მიწერილ წერილში (Correspondance 1908), სტენდალი აყალიბებს ფორმულას, რომელსაც ფაქტობრივად ის აღარც დალატობს. ის წერს, რომ ადამიანის ან პეიზაჟის აღწერისას, ხელოვანმა უნდა იფიქროს რეალურ პროტოტიპებზე. ამგვარად, ის უარს აცხადებს იმ მეთოდით მუშაობაზე, რომელიც გულისხმობს ხატვას მოდელის გარეშე. სტენდალის შემოქმედებაში არ არსებობს არცერთი პერსონაჟი, ეპიზოდურ როლშიც კი, რომელსაც რეალურ ცხოვრებაში პროტოტიპი არ ჰყავდეს. „პარმის სავანის“ ავტორი ისეთ ადამიანებსაც წარმოგვიდგენს, რომელთაც მხოლოდ თვითონ იცნობდა და ფართო საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილნი იყვნენ. ის აკვირდებოდა გარშემომყოფ ადამიანებს, სწავლობდა მათ და შემდეგ სხვადასხვა სიტუაციაში წარ-

მოადგენდა. ერთ-ერთ წერილში სტენდალი წერს ბალზაკს: „მე ვირჩევ ჩემთვის კარგად ნაცნობ ადამიანს, ვუტოვებ მას ყველა იმ თვისებას, რომელიც ყოველ დილით ბედნიერებაზე ნადირობის ხელოვნებამ შესძინა და შემდეგ უფრო მეტი გონიერებით ვაჯილდოვებ“. რომანში მოხრობელი გვაძლევს კონკრეტულ გვარებს, მისამართებს, ტოპოგრაფიას და ეს – მხოლოდ იმიტომ, რომ სიმართლის ეფექტი შექმნას და მკითხველი მომხდარში დაარწმუნოს, მის მიერ შექმნილი ფიქცია დაუკავშიროს რეალობას.

როგორც წესი, რომანის დაწერამდე სტენდალი გარკვეულ ჩანახატებს აკეთებს. ეს ეხება როგორც გეოგრაფიულ ადგილებს, ასევე პერსონაჟებს. ის წინასწარ სწავლობს ადამიანებს. ინტერესდება ხასიათის არა მხოლოდ გარეგნული ნიშნებით, არამედ უდრმავედა თითოეულ შტრიხს. სტენდალი დიდ დროს არ უთმობს პერსონაჟების ფიზიკური მხარის აღწერას. უფრო მეტად კი, იმ შემთხვევაში, თუ საქმე მამრობითი სქესის პერსონაჟებთან გვაქვს. მიუხედავად ამისა, მკითხველმა თითოეული პროტაგონისტის კანის ფერიც კი იცის. „წითელი და შავის“ ავტორი უფლიენ სორელს მზის გულზე ნამყოფი ადამიანის კანის ფერით წარმოგვიდგენს. ფაბრიციოს კი „პარმის სავანის“ დასაწყისში, ჯერ ჯანსაღი ადამიანის იერით, ხოლო შემდეგ ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე მცხოვრებთათვის დამახასიათებელი ავადმყოფური გამომეტყველებით გვიხატავს.

რაც შეეხება პერსონაჟ ქალებს, მათ მოხრობელი ერთმანეთის საპირისპირო გარეგნობით წარმოგვიდგენს, რაც, ძირითადად ასაკის სხვაობით გამოიხატება. სტენდალი ქალის ფიზიკურ მშვენიერებას, უმეტესწილად, ქერა თმითა და ცისფერი თვალებით აღწერს. რომანში „პარმის სავანე“ კლელიას შესახებ ვკითხულობთ: „კლელიას ქერა თმა ჰქონდა, რომელიც სასიამოვნოდ ამკობდა მის ზედმეტად ფერმკრთალ ნაზი ფერის დაწვებს“ [სტენდალი 1965:310].

დასკვნა

სტენდალის რომანი არ ასახავს მხოლოდ თანამედროვე რეალობას. იგი ყველა წერილსა თუ ნაწარმოებში აღნიშნავს, რომ სწავლობს ბუნებას, რის შემდეგაც ნაწარმოებში ცდილობს გადმოსცეს სინამდვილე. „არმანის“ გამოქვეყნების შემდეგ სტენდალი წერს მერიმეს: „თქვენი არგუმენტები საგარაუდო სინამდვილეზე დაფუძნებული, ჩემი კი - ბუნების შესწავლაზე“ [Correspondance 1908: 178-179].

მისი კრიტიკის ერთ-ერთი ძირითადი საშიზნე სინამდვილის ნაკლებობაა. სტენდალი მიიჩნევს, რომ ლიტერატურაში სინამდვილის არარსებობა იდეების განვითარებას უშლის ხელს, მხატვრობაში კი - აღქმას [Stendhal 1996]. ყველა ის იდეა და მოთხოვნა, რაც სტენდალს მხატვრობის მიმართ გააჩნია, უცვლელია რომანთან მიმართებაში. რომანში ერთიანი ხედი დომინირებს, ეს ხედი სარკეში არეკლილი სურათ-ხატია. ნაწარმოებში „რომი, ნეაპოლი და ფლორენცია“ სტენდალი წერს, რომ არაფერი აქვს დაწერილი უბრალო ეფექტის მოსახდენად, ეს ნაწარმოები სარკეა [Stendhal, 1987] თუ მკითხველები მის რომანებს სარკეს შეადარებდნენ, ეს იქნებოდა ყველაზე დიდი კომპლიმენტი. მისი აზრით, რომანი სარკეა, რომელსაც შარაგზაზე ჩაატარებს მისი მფლობელი. სარკის მატარებლის ბრალი არ არის, თუ ამ დროს სარკესთან „სიმახინჯე“ ჩაივლის. „ეჰი, ბატონო, რომანი სარკეა, რომელიც შარაგზაზე სეირნობს. ის თქვენს თვალებში ხან ცის ლაქვარდს აირეკლავს, ხანაც - ჭაობს. და სწორედ ამის გამო თქვენ ამორალობას დასწამებთ იმ ადამიანს, რომელიც სარკეს დაატარებს! მისი სარკე ჭაობს ირეკლავს და თქვენ ამას სარკეს აბრალებთ! ბრალი დასდეთ უფრო რე იმ შარაგზას, რომელზეც ჭაობი გაჩენილა,

და უფრო მეტად კი - გზების ზედამხედველს, რომელიც წყლის აშშორებას და ჭაობის გაჩენას ხელს არ უშლის“ [სტენდალი 1979:436].

სტენდალი საკუთარ შემოქმედებას რეალიზმის ფარგლებში ათავსებდა. „პარმის სავანის“ ავტორისათვის რეალიზმი სარკის ესთეტიკის პრინციპით იქმნება.

ლიტერატურა

1. სტენდალი (1965): პარმის სავანე, „ლიტერატურა და ხელოვნება“. თბილისი
2. სტენდალი (1979): წითელი და შავი. „საბჭოთა საქართველო“. თბილისი
3. Stendhal (1852): Histoire de la peinture en Italie. Gallimard. Paris
4. Vies de Haydn, Mozart et Métafaste (1914): Paris. Honoré Champion
5. Rome, Naples, Florence, Paris, Folio classique (1987): Gallimard.

კორესპონდენცია:

6. Correspondance de Stendhal, Paris, Charles Bosse. (1908)

კრიტიკა:

7. Bergez D. (2004): Littérature et peinture. Paris. Armand Colin
8. Bergez D. (2008): Peindre, écrire : le dialogue des arts, La Martinière
9. Berthier Ph. La Chartreuse de Parme de Stendhal. Paris. Folio
10. Blin G. (1998): Stendhal et les problèmes du roman. Paris. José Corti
11. Chastel A. (1982): L'Art italienne. Paris. Flammarion

Эстетика зеркала в творчестве Стендаля

Гунцадзе Нана Петровна
Тбилисский государственный университет
Факультет гуманитарных наук
Пр. И. Чавчавадзе №36, 0179, Тбилиси, Грузия
Тел.: 593 646 000
E-mail : nana_guntsadze@yahoo.com

Кусикашвили Кетеван Левановна
Тбилисский государственный университет
Факультет гуманитарных наук
Пр. И. Чавчавадзе №36, 0179, Тбилиси, Грузия
Тел.: 593 243 123
E-mail: ketevan.kusikashvili001@humfac.tsu.edu.ge

Резюме

Целью писателя-реалиста является точный показ окружающего его мира. Писатель исследует все слои общества и существующие комплексные отношения между людьми.

По мнению писателя, роман нам предлагает связь человеческих чувств с этическими, эстетическими и чисто литературными ценностями. Роман не только простое представление реальности, но он предлагает также возможное. А восприятия этого возможного литература достигает при помощи воображения, что подтверждается фразеологическим анализом романов Стендаля.

Итак, Стендаль создает реальность через призму воображения, но в этом случае воображение основано на реальных фактах. Писатель использует эстетику зеркала для создания реальности. с одной стороны, феноменон зеркала основывается на принципе объективного видения, а с другой стороны, надо помнить, что зеркало показывает то, что находится перед ним. Так что, у творца есть свободный выбор и он решит, как будет стоять зеркало на „дороге“.

Ключевые слова:

Реализм, эстетика зеркала, ценности, эмоция, правда, субъективизм, протагонист,

Mirror Aesthetics in Stendhal's Works

Nana Guntsadze
Tbilisi State University
Humanitarian science faculty
36, Chavchavadze ave., 0179, Tbilisi, Georgia
Tel.:5593 646 000
E-mail : nana_guntsadze@yahoo.com

Ketevan Kusikashvili
Tbilisi State University
Humanitarian science faculty
36, Chavchavadze ave., 0179, Tbilisi, Georgia
Tel.:593 243 123
E-mail: ketevan.kusikashvili001@humfac.tsu.edu.ge

Abstract

The aim of the realist writer is to describe the environment around him. The writer studies all the social classes and complex relationships between people.

In Stendhal's opinion a novel shows ties of human feelings with ethical, aesthetic and purely literary values. The novel is not only simple representation of reality, but it represents the possible as well. In literature the cognition of this possible is achieved by means of imagination and this is proved by the phraseological analysis of Stendhal's novels.

According to Stendhal, reality is created by means of imagination, but in such a case imaginary is based on real facts. Stendhal uses mirror aesthetics in order to create reality. At a glimpse the phenomenon of mirror is based on the principle of objective vision, but on the other hand we shouldn't forget that the mirror reflects only what we place in front of it. Thus the writer has free choice, he has to decide himself from which angle to put the mirror on the "highway".

Keywords:

realism, mirror aesthetics, values, emotion, truth, subjectivism, protagonist.

Conceptual Metaphor as Understanding of One Conceptual Domain in Terms of Another

Marina Zoranyan
Georgian Technical University
Department of Liberal Sciences
77 Kostava st., 0175, Tbilisi, Georgia
Tel. : 593 783 826
E-mail: marinaziger@gmail.com

Abstract

The article views the notion of conceptual metaphor in cognitive linguistics. Conceptual (or Cognitive) Metaphor Theory has been introduced by Lakoff and Johnson and became widely known with the publication of their book *Metaphors We Live By* in 1980. Lakoff and Johnson claim that metaphor is not a mere trope or a kind of linguistic embellishment, it is a productive phenomenon that operates at the level of mental processes. Cognitive Metaphor Theory proceeds on the basis that metaphor is not limited to literary texts but it is a pervasive phenomenon in all discourse types. It is not merely a feature of language, but rather a matter of thought. Metaphors are cross-domain mappings. All conceptual metaphors consist of two conceptual domains: a target domain and a source domain. In cognitive linguistics, conceptual metaphor is defined as understanding of one conceptual domain in terms of another. Conceptual metaphors shape our communication and the way we think and act.

Keywords:

Conceptual Metaphor Theory, Cognitive Metaphor Theory, conceptual metaphor, trope, source domain, target domain, metaphorical mapping, covert comparison, overt comparison.

Introduction

Conceptual Metaphor Theory, also known as Cognitive Metaphor Theory, is one of the most influential aspects of cognitive stylistics. It has been in-

troduced by Lakoff and Johnson and became widely known with the publication of their book *Metaphors We Live By* in 1980. Conceptual metaphor theory has since been developed and elaborated by Turner (1987), Lakoff and Turner (1989), Kövecses (2002, 2005, 2010), Evans and Green (2006), Steen (1999, 2007), Semino (2008) and others. The fundamental tenet of Conceptual Metaphor Theory is that metaphor operates at the level of thinking.

Main Body

Metaphor has traditionally been viewed as an artistic device that imparts vividness and distinction to its author's style. The theory of conceptual metaphor proposed by Lakoff and Johnson is not to be confused with traditional perspective that regards metaphor as primarily a trope or a kind of linguistic embellishment. Lakoff and Johnson (1980) claim that metaphor is a productive phenomenon that operates at the level of mental processes. It is one of the primary ways in which we conceptualise our experience of the world around us.

Metaphor is defined as the practice of talking about one thing as if it were another, on the grounds that there are some notional similarities between the two entities. The following line illustrates clearly an example of typical metaphor:

Death's a debt that everybody owes. [Harrison, 1975].

Using the terms of traditional rhetoric, "death" is the tenor of the metaphor (i.e. that which is being discussed), whereas "a debt" is the vehicle (what Leech [1969] calls a "purported definition"). Clearly the meaning that is conveyed here is that death has some of the qualities we associate with debts – perhaps in the sense of being unwished for, being something inescapable or something to be feared. These are the grounds for comparison.

Leech [1969: 156] describes metaphor as "covert comparison", contrasting this with the "overt com-

parison” of simile, where the comparison between the two entities, is made explicit.

Cognitive Metaphor Theory proceeds on the basis that metaphor is not limited to literary texts but it is a pervasive phenomenon in all discourse types. Furthermore, it states that metaphor is not merely a feature of language (i.e. a linguistic phenomenon), but rather a matter of thought (i.e. a cognitive phenomenon) which is central to our conceptual system and the way in which we make sense of ourselves and the world we live in.

In cognitive linguistics, “conceptual metaphor is defined as understanding of one conceptual domain in terms of another conceptual domain” (Kovecses, 2010: 4). A conceptual metaphor consists of two conceptual domains, in which one domain is understood in terms of another. Kövecses (2002, p. 4) gives a concise definition of conceptual domain: “A conceptual domain is any coherent organization of experience”.

All conceptual metaphors consist of a target domain (equivalent to the tenor in traditional approaches) and a source domain (the “source” of the metaphor; similar to the vehicle). Metaphors are cross-domain mappings. Source domain is the conceptual domain from which we draw metaphorical expressions. This domain is relatively more concrete and physical. Target domain is the conceptual domain that we try to understand. It is more abstract and difficult to grasp. Source domain is mapped onto a target domain. Mapping is a form of projection: “The main function of conceptual metaphor is to project inference patterns from one conceptual domain onto another”. (Lakoff and Johnson, 1999: 82) As a result conceptual metaphor allows us to reason about the target domain in a way that we otherwise would not. “Mappings represent systemic sets of correspondences that exist between constituent elements of the source and the target domain”. [Guldin, 2016: 17] “The mapping is tightly structured”: the entities of one domain “correspond systemically” [Lakoff, 1993: 206] to the entities of the other.

Metaphors are seen as linguistic manifestations of underlying conceptual metaphors which are cen-

tral to the way humans make sense of the world [Nørgaard, Busse & Montoro, 2014: 108] Traditionally, conceptual metaphors are written in small capital letters, as in LIFE IS A JOURNEY.

In the example LIFE IS A JOURNEY, LIFE is the target domain and JOURNEY is the source domain. When we interpret conceptual metaphors we map concepts from the source domain onto the target domain. When we use the conceptual metaphor LIFE IS A JOURNEY, one of the mappings, that we make between the source domain and the target domain is to think of the person, living the life as a traveller. For example, we might say “I feel as if I’m going nowhere!”, or “He’s getting ahead of himself”.

Let’s view another conceptual metaphor AN ARGUMENT IS WAR which may be realized by means of a number of different linguistic metaphors such as ‘Your claims are indefensible’, ‘He attacked every weak point in my argument’, ‘His criticisms were right on target’, ‘He shot down all of my arguments’ [Kövecses, 2002: 5].

When we talk about arguments and arguing we use the same kind of language as when we talk about war and fighting: we take positions to defend; we attack our opponent; we either fortify or abandon weak positions; we choose different strategies and lines of attack; we eventually win or lose. The conceptual metaphor ARGUMENT IS WAR is deeply rooted in Western society and the implications of using this metaphor are significant. Cognitive metaphor theorists have begun to see these patterns as evidence that, far from being inactive, these conventional metaphorical ways of talking about particular activities and practices suggest that we conventionally think about these things in particular ways.

With regard to ARGUMENT IS WAR, Lakoff and Johnson [1980: 4] explain that “Many of the things we do in arguing are partially structured by the concept of war”. When we use the metaphor of war to refer to arguments what we’re really doing is showing how much we think about arguing as being like war. This is a disturbing concept, and perhaps the very fact that we have these underlying conceptual ideas about how the world works begins to ex-

plain why concepts like diplomacy and international relations are so very difficult to manage.

Proponents of Conceptual Metaphor Theory claim that it is almost impossible to speak about abstract concepts without metaphors: there is no direct way of perceiving them and we can only understand them through the filter of directly experienced, concrete notions.

Conclusion

Conceptual metaphors are met in language in our everyday life. They are pervasive not just in language but in thought and action. Our ordinary conceptual system, in terms of which we both think and act, is fundamentally metaphorical in nature. Conceptual metaphors shape our communication and the way we think and act. They make our thoughts more vivid and interesting. They actually structure our perceptions and understanding. Conceptual metaphors are used very often to understand theories and models. A conceptual metaphor uses one idea and links it to another to better understanding something.

Literature

1. Evans V. and Green M. (2006): *Cognitive Linguistics: An Introduction*. Edinburgh: Edinburgh University Press
2. Guldin R. (2016) *Ж Translation as Metaphor*. New York: Routledge
3. Kövecses Z. (2002): *Metaphor: A Practical Introduction*. Oxford: Oxford University Press
4. Kövecses Z. (2005): *Metaphor in Culture: Universality and Variation*. Cambridge: Cambridge University Press
5. Kovecses Z. (2010): *Metaphor: A Practical Introduction*. Second edition. Oxford: Oxford University Press
6. Lakoff G. (1993): *The Contemporary Theory of Metaphor*. In Andrew Ortony (ed.), *Metaphor and Thought*. Second edition, Cambridge: Cambridge University Press

7. Lakoff G.& Johnson M. (1980): *Metaphors We Live By*. Chicago: University of Chicago press
8. Lakoff G.& Johnson M. (1999): *Philosophy in the Flesh: The Embodied Mind and Its Challenge to Western Thought*. New York: Basic Books
9. Lakoff G. & Turner M. (1989): *More Than Cool Reason: A Field Guide to Poetic Metaphor*. Chicago: University of Chicago Press
10. Nørgaard N., Busse B. & Montoro R. (2010): *Key Terms in Stylistics*. New York: Continuum International Publishing Group
11. Semino E. (2008): *Metaphor in Discourse*. Cambridge: Cambridge University Press
12. Steen G. (1999): 'From linguistic to conceptual metaphor in five steps', in R.W. Gibbs Jr. and G. Steen (eds), *Metaphor in Cognitive Linguistics*. Amsterdam and Philadelphia: John Benjamins, pp. 57–78
13. Steen G.J. (2007): *Finding Metaphor in Grammar and Usage*. Amsterdam: John Benjamins.
14. Turner M. (1987): *Death is the Mother of Beauty: Mind, Metaphor, Criticism*. Chicago: University of Chicago Press

Fiction cited from:

Harrison T. (1975): *Palladas: Poems*. London: Anvil Press.

Концептуальная метафора как понимание одной концептуальной сферы в терминах другой

*Зоранян Марина Георгиевна
Грузинский технический университет
Департамент либеральных наук
Ул. Костава №77, 0175, Тбилиси, Грузия
Тел.: 593 783 826
E-mail: marinaziger@gmail.com*

Резюме

В статье рассматривается понятие концептуальной метафоры в когнитивной лингвистике. Теория концептуальной (или когнитивной) ме-

თაფორი, ოსოვოპოლოჟნიკიამი კოთორი იალოთა ლაოფი დი ჯონსონი, სთა სიროკო იზოვნიოთი პოსე პუბლიკაციი ვ 1980 გოდი იხი კნიგი «მეთაფორი, კოთორიმი მი ივიემ». ლაოფი დი ჯონსონი ოთვრჟდაოთ, კოთ მეთაფორა ნე პროსთო ტროპი ილი სოვოეო როდი ლინგვისტიკოსეო პრიოკრასივიანი - ოთო პროდუკტივიანი იალოთი, კოთორე დეივთუნი ნა ოოვნიე მენტალნიოთი პროცესოთ. თეორიი კოგნიტივიანი მეთაფორი ისოდიოთ იზი თოთი, კოთ მეთაფორა ნე ოგრანიკივიანი ლიტერატურნიოთი თექსთი, ა იალოთა სიროკო რასპროსთრანიანი იალოთი ვო სოთხი თიპი დისკურსი. ოთო ნე პროსთო ოსობენოთი იალოთი, ა სოკოოე ვოპროს მიშლენიი. ვსე კონცეპტუალნიოთი მეთაფორი სოსოთი იზი დოვი კონცეპტუალნიოთი სფეროთ: სფეროთ-იოთნიკიი დი სფეროთ-მიშენი. ვ კოგნიტივიანი ლინგვისტიკოთ კონცეპტუალნიი მეთაფორა ოპრედილენიი კოთ პონიანიი ოდი კონცეპტუალნიი სფეროთ ვ თერმინი დოოთი. კონცეპტუალნიოთი მეთაფორი ფორმირიოთ ნაშე ობშენიი დი თო, კოთ მი დომაემ დი დეივთუემ.

Ключевые слова:

თეორიი კონცეპტუალნიი მეთაფორი, თეორიი კოგნიტივიანი მეთაფორი, კონცეპტუალნიი მეთაფორი, ტროპი, სფეროთ-იოთნიკიი დი სფეროთ-მიშენი, მეთაფორიკოსეიი პროექციი, სკრიოთე სრავნიენი, ოთკრიოთე სრავნიენი.

**კონცეპტუალური მეტაფორა
როგორც ერთი კონცეპტუალური
სფეროს გაგება მეორე სფეროს
ტერმინებში**

მარინა ზორანიანი

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი
კოსტავას ქ. №77, 0175, თბილისი,*

საქართველო

ტელ.: 593 783 826

E-mail: marinaziger@gmail.com

რეზიუმე

სტატია იხილავს კონცეპტუალური მეტაფორის ცნებას კოგნიტურ ლინგვისტიკაში. კონცეპტუალური (ან კოგნიტური) მეტაფორის შესახებ ცნობილი გახდა 1980 წელს მას შემდეგ, რაც ლაკოფმა და ჯონსონმა გამოაქვეყნეს წიგნი „მეტაფორები, რომლებითაც ვცხოვრობთ“. ავტორთა აზრით, მეტაფორა არ არის უბრალოდ სტილისტური საშუალება ან ლინგვისტიკური შელამაზება, ის პროდუქტიული მოვლენაა, რომელიც მენტალური პროცესების დონეზე მოქმედებს. კოგნიტური მეტაფორის თეორია ეყრდნობა იმ მოსაზრებას, რომ მეტაფორა არ იზღუდება ლიტერატურული ტექსტებით, რომ ის ფართოდ გავრცელებული მოვლენა დისკურსის ყველა ტიპში. ის არ არის უბრალოდ ენობრივი თვისება, არამედ აზროვნების საკითხია. მეტაფორა სფეროთაშორისი მოვლენაა. ყველა კონცეპტუალური მეტაფორა შედგება ორი კონცეპტუალური სფეროსგან: სამიზნე და წყაროს სფეროებისაგან. კოგნიტურ ლინგვისტიკაში კონცეპტუალურ მეტაფორას განსაზღვრავენ როგორც ერთი კონცეპტუალური სფეროს გაგებას მეორე სფეროს ტერმინებში. კონცეპტუალური მეტაფორა აყალიბებს ჩვენს კომუნიკაციას და იმას, თუ როგორ ვაზროვნებთ და როგორ ვიქცევით.

საკვანძო სიტყვები:

კონცეპტუალური მეტაფორის თეორია, კოგნიტური მეტაფორის თეორია, კონცეპტუალური მეტაფორა, სტილისტური საშუალება, წყაროს სფერო, სამიზნე სფერო, მეტაფორული პროექცია, ფარული შედარება, აშკარა შედარება.

ტერმინოლოგიური პოლისემია და სინონიმია

რუსუდან თაბუკაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი
კოსტავას ქ. № 77, 0175, თბილისი,
საქართველო
Tel: 593 512 484
E-mail: r.tabukashvili@gmail.com

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ტერმინოლოგიური პოლისემიისა და სინონიმის საკითხები, რომლებიც არ კარგავენ აქტუალობას ტერმინოსისტემის კვლევის პროცესში. თეორიულ კვლევებში ტერმინის არაერთგზის უპირობო ობლიგატორულ მარკერად მიჩნეული ერთმნიშვნელოვანობისა და სინონიმის, როგორც ტერმინოსისტემისათვის „მიუღებელი“ ენობრივი მოვლენის საკითხი, თანდათანობით კარგავს თავის ღირებულებას. შესაბამისად, სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ტერმინის „ახალი“ მახასიათებლების - პოლისემიისა და სინონიმის, როგორც მისი თანმდევი კანონზომიერი ენობრივი ლექსიკურ-სემანტიკური მოვლენების საკითხი.

საკვანძო სიტყვები:

ტერმინოლოგიური პოლისემია და სინონიმია, ტერმინოსისტემა, მარკერი, მონოსემია, ექსტერნული და ინტერნული პოლისემია, სინონიმური დუბლეტები.

შესავალი

ტერმინის სემანტიკური ანალიზის პროცესში ლინგვისტები აქტიურად იკვლევენ საკითხს იმის შესახებ, ვრცელდება თუ არა ტერმინოლოგიაზე ზოგადი ენის ძირითადი

ლექსიკურ-სემანტიკური მოვლენები. აღნიშნულის განხილვის საფუძველს ქმნის, ერთი მხრივ – ტერმინის ძირითადი და მნიშვნელოვანი მარკერის – ერთმნიშვნელოვანობის საკითხი, რომლის მიხედვითაც ერთ აღნიშვნას უნდა შეესაბამებოდეს ერთი აღნიშვნელი, ხოლო მეორე მხრივ – ის მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ ტერმინები როგორც ტერმინოსისტემის, ასევე ზოგადი ენის, სალიტერატურო ენის ლექსიკური შემადგენელიცაა და რადგან ისინი სხვადასხვა, მაგრამ ურთიერთდაკავშირებული ენობრივი დონის სისტემის ერთეულების ფუნქციით გვხვდება, ცხადია, რომ მათზე უამრავი ლექსიკურ-სემანტიკური პროცესი ახდენს გავლენას, რომელსაც გვერდს ვერ აუვლის ვერც ზოგადი ენის, ვერც ტერმინოსისტემის ლექსიკური ერთეულები. ნებისმიერი ტერმინოსისტემის ანალიზისას ცხადად ჩანს აღნიშნული პროცესების შედეგები, რაც გვაფიქრებინებს, რომ ყველა ეს პროცესი ტერმინოსისტემებსაც ეხება, თუმცა რასაკვირველია, ისინი განსხვავებულია ზოგადი ენის ანალოგიური მოვლენებისაგან.

ძირითადი ნაწილი

ფაქტი, რომ ლექსიკური ერთეულის გარეგან და შიდა ფორმებს შორის, მის შინაარსსა და გამოხატულებას შორის არსებობს დისბალანსი, დიდი ხანია იპყრობს ლინგვისტთა ყურადღებას. თანამედროვე ტერმინოლოგიის პრობლემად მიიჩნევა ის, რომ ერთი ტერმინი ხშირად ასახელებს რამდენიმე სპეციალურ-დარგობრივ ტერმინს. ასეთ შემთხვევებში ტერმინოლოგიური ლექსიკის პოლისემიაზე მსჯელობენ, რაც ტერმინისათვის არ არის უცხო მოვლენა. მიუხედავად იმისა, რომ სპეციალურ ლიტე-

რატურაში ტერმინის მახასიათებლებსა და მისდამი წაყენებულ უპირობო მოთხოვნებს შორის, უპირველეს ყოვლისა, ასახელებენ მის ერთმნიშვნელობას, რეალურად ტერმინთა კვლევის შედეგები განსხვავებულ სურათს გვაძლევს – ტერმინთა ერთმნიშვნელობა არაა ობლიგატორული პირობა ლექსიკური ერთეულის ტერმინოსისტემის შემადგენლად და მისი ტერმინად განსაზღვრის პროცესში. როგორც პრაქტიკულმა კვლევებმა აჩვენა, ერთმნიშვნელობა შესაძლოა ჩაითვალოს ტერმინის ფაკულტატურულ, სასურველ მარკერად ცალკეული ტერმინოსისტემების ფარგლებში, მისდამი წაყენებულ არასავალდებულო თეორიულ მოთხოვნად. ალბათ უპრიანი იქნებოდა, თუკი ტერმინის ობლიგატორული ერთმნიშვნელობის ნაცვლად მის მახასიათებლად მოვიზრებდით ტერმინის ერთმნიშვნელოვან და ზუსტ გამოყენებას სამეცნიერო კომუნიკაციაში.

პოლისემია ზოგად ენაში განისაზღვრება როგორც ენობრივი ლექსიკური ერთეულის თვისება, ჰქონდეს ერთზე მეტი მნიშვნელობა და არსებულ მნიშვნელობებს შორის იყოს სემანტიკური კავშირი. „Wenn mit einer phonologischen Form verschiedene Bedeutungen aktiviert werden“, die sich syntaktisch identisch verhalten, liegt Polysemie vor.....“ oder “.....wenn zwei Inhalte demselben Signifikanten zugeordnet sind, liegt Polysemie vor“ [Weiß 2011:76].

პოლისემიურ სიტყვას ასევე უნდა ჰქონდეს უნარი ლექსიკური ერთეულის ზოგადი ნიშან-თვისებები გადაიტანოს ერთი დენოტატიდან მეორეზე. ზოგადი ენის ანალოგიურად აღნიშნული დეფინიცია შესაძლებელია გამოვიყენოთ ასევე ტერმინებთანაც, რადგან პრაქტიკა გვანჩვენებს, რომ ერთი და იმავე ლექსემა-ტერმინის გამოყენება დასაშვებია ორი ერთმანეთთან დაკავშირებული ცნების აღსანიშნავად, როგორც ზოგადი ენისა და დარგობრივი ენის ფარგლებში (ექსტერნული პოლისემია), ასევე ცალკეული

დარგობრივი ენის ტერმინოსისტემის ფარგლებში, (ინტერნული პოლისემია).

ტერმინოლოგიური ლექსიკის პოლისემიურობის წყაროებად ითვლება:

1. სიტყვის მნიშვნელობის შევიწროვების გზით ზოგადი ენის ლექსიკური ერთეულის გარდაქმნა და მისი გამოყენება ტერმინად.

ამ პროცესის შედეგია ზოგად-ენობრივი და ტერმინოლოგიათაშორისი (ექსტერნული) პოლისემია;

2. ერთი ტერმინოსისტემის ფარგლებში შესაძლოა ტერმინმა შეიძინოს ახალი მნიშვნელობა – შიდატერმინოლოგიური (ინტერნული) პოლისემია;

3. მეცნიერების დარგის/მიმართულების, ტექნიკის ან სოციალური ურთიერთობების განვითარების პროცესში ტერმინოლოგიური მნიშვნელობის დაზუსტება ან შეცვლა, როცა იცვლება აღსანიშნე ცნება;

4. ტერმინის მორფოლოგიური ფუნქციის შეცვლა (მაგ. მრავლობითი რიცხვის ფლექსია);

5. ტერმინის სინტაქსური ფუნქციის შეცვლა (მაგ. მეტყველების ნაწილების გაარსებითების ან მათი ზედსართავ სახელად გარდაქმნის დროს);

6. ტერმინის შემოკლებული ფორმის, აბრევიატურის გამოყენება. [სოკოლოვა 1985].

დარგობრივი ტერმინების პოლისემია მკითხველს არ უქმნის ბარიერს სწორად გაიგოს დარგობრივი სპეციალური ტექსტი. ტექსტის კორექტულ გაგებას ხელს უწყობს ტიპური კონტექსტუალური პირობები. პოლისემიური ტერმინის ამა თუ იმ მნიშვნელობის შერჩევა ხდება კონტექსტში და დამოკიდებულია იმაზე, თუ რა გარემოცვაშია ტერმინი დარგობრივ ტექსტში. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ყურადღება მივაქციოთ იმას, თუ რას ნიშნავს ტერმინისათვის კონტექსტი. ტერმინისათვის დამახასიათებელია ფუნქციონირება მხოლოდ ისეთ ლექსიკურ-სემანტიკურ ველში, რომელშიც მას ცალსახა მნიშვნელობა აქვს. ასეთი ველი თანამე-

დროვე ლინგვისტიკაში განისაზღვრება როგორც „მართებული არე“. [ქურდიანი 1999].

აქედან გამომდინარე, სირთულეს ქმნის ტერმინის განხილვა კონტექსტისგან განყენებულად, თემატური კონტექსტისგან მოწყვეტით. ტერმინს აქვს განსაზღვრული დარგობრივი მნიშვნელობა, რომელიც იცვლება მისი გამოყენებით ამა თუ იმ სფეროში.

ამდენად, ტერმინის კვლევისას მნიშვნელოვანია ყურადღება მივაქციოთ ისეთ რთულ ლექსიკურ-სემანტიკურ მოვლენას, როგორცაა ტერმინოლოგიური პოლისემიის საკითხი. ტერმინოლოგიური პოლისემია – კანონზომიერი მოვლენაა, რომელიც კიდევ ერთხელ ამტკიცებს კავშირს ტერმინებსა და ზოგადი ენის ლექსიკას შორის და ამდიდრებს ტერმინების სემანტიკას. ტერმინის მკაცრად განსაზღვრული ლოგიკურ-სემანტიკური საზღვრები ზღუდავს მასში პოლისემიის გამოვლენას მთელი სისრულით. რადგან ტერმინის ფუნქციონირება და მისი მნიშვნელობის რეალიზაცია შეუძლებელია კონტექსტის, „მართებული არე“ გათვალისწინების გარეშე, ამიტომ ტერმინის მრავალმნიშვნელობა არ ქმნის სირთულეებს, გავივით დარგობრივი ტექსტი სწორად და შესაბამისად, იგი არ ართულებს პროფესიულ კომუნიკაციას.

მაგალითად:

1. Durchmesser – 1. Eine Kreissehne, auf welcher der Mittelpunkt liegt, also ein geometrisches Objekt; - დიამეტრი 2. Die Länge dieser Sehne. (innerhalb des gleichen Kontexts) - ქორდა

2. Dreieck – 1. Eine durch die kürzesten Verbindungen zwischen drei Punkten begrenzte Fläche; სამკუთხედი 2. Streckenzug/Polygonzug - die Vereinigung der Verbindungsstrecken einer Folge von Punkten. პოლიგონური ხაზი, ქორდა

3. Würfel – 1. dreidimensionale Punktmenge, Kubus; კუბი 2. Ein System von Flächen; ზედაპირის სისტემა 3. Dreidimensionales Parallelepi-
ped; სამგანზომილებიანი პარალელეპიპედი

4. Flügel – 1. Körperteil; ფრთა 2. Musikinstrument; მუსიკალური ინსტრუმენტი, როიალი 3. Gebäudeteil; შენობის ნაწილი, ფლიგელი

5. Seite – 1. Buchseite; წიგნის გვერდი 2. Seite eines Körpers; 2. სხეულის ნაწილი 3. Aspekt, Erscheinungsform ასპექტი

6. Zug – 1. Treibwagen mit Anhänger; მექანიკური ჰორიზონტალურად მოძრავი ფარი 2. Einwirkende Kraft; ზემოქმედი ძალა 3. als unangenehm empfundene Luftbewegung; ორპირი ქარი 4. Schluck; ყლუპი

7. Ton – 1. Musik (falscher Ton); მუსიკა 2. Redeweise (ungehöriger Ton); ლაპარაკის ტონი 3. Linguistik (Ton, Akzent auf Silben); მახვილი, აქცენტი 4. Farbe (kräftiger Ton); ფერი, ტონალობა 5. Kino, Theater (Tonaufnahme) – ფონოგრამა

8. Pferd - 1. Tier; ცხოველი 2. Turngerät; სავარჯიშო ხელსაწყო 3. Schachfigur ჭადრაკის ფიგურა

როგორც მაგალითებიდან ჩანს, ტერმინოლოგიური პოლისემია დამახასიათებელია როგორც ზოგადი ენისათვის, ასევე დარგობრივი ლექსიკური ერთეულებისათვის, ტერმინებისათვის. დარგობრივი ტერმინების პოლისემიის ობლიგატორული მახასიათებელი მრავალ მნიშვნელობათა შორის საერთო, ძირითადი სემის არსებობაა. წარმოდგენილი ტერმინები ძირითადად ინტერნული (ინტერდარგობრივი) პოლისემიის ჯგუფს მიეკუთვნება.

პოლისემიის მსგავსად ტერმინოლოგიური სინონიმიაც არაერთგვაროვნად განისაზღვრება ლინგვისტთა მიერ. ზოგიერთი მკვლევარი კატეგორიულად უარყოფს და ზოგადად დაუშვებლადაც კი მიიჩნევს სინონიმიას ტერმინოლოგიაში. ამას ისინი ასაბუთებენ იმ მოსაზრებით, რომ სინონიმიაშესაძლოა გამოიწვიოს რამდენიმე ანალოგი ცნების არსებობა, მათი რეცეფციის არაერთმნიშვნელობა, თუმცა არსებობს მოსაზრებაც, რომ „ტერმინოლოგიაში (ცალკეულ ტერმინოსისტემებში) არსებობს ერთი

ცნების სინონიმური დასახელების რამდენიმე მიზეზი და წინაპირობა. ცხადია, სინონიმია არაა ტერმინისათვის ობლიგატორული, თუმცა არცთუ იშვიათი გამონაკლისია იმისათვის, რომ კატეგორიულად უარყოთ იგი. [დანილენკო 1977:176].

მაგალითად, მათემატიკის დარგობრივ ენაში ხშირია შემთხვევები, როცა ერთი და იგივე ცნებები სხვადასხვა ტერმინებით გადმოიცემა, რაც ამ ტერმინების სინონიმურ გამოყენებას გულისხმობს. ასეთებია: Rhombus und Raute – ორივე ოთხკუთხედის ერთსა და იმავე ტიპს აღნიშნავს. ასევე ტერმინები – Abbildung, Operator und Funktion – ერთი და იმავე ცნების გამოსახატად გამოიყენება, თუმცა ისინი სხვადასხვა კონტექსტში იხმარება. გეომეტრიაში უპირატესობა ენიჭება ტერმინს Abbildung, ტექნიკასა და ფიზიკაში უმეტესად ტერმინი Operator გამოიყენება, ხოლო ქიმიაში – Funktion. გარდა ამისა, სემანტიკურ მსგავსებაზე და ცნებათა სინონიმიაზე მიგვანიშნებს ასევე მათემატიკური ტერმინები – zusammenzählen და addieren, wegzählen, wegnehmen და subtrahieren, Rauminhalt და Volumen და ა.შ. [Maier & Schweiger].

განსხვავებით ზოგადი ენისაგან, სადაც სინონიმია ტექსტის სტილისტური რეალიზაციის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებადაა მიჩნეული, ტერმინოლოგიაში იგი სხვაგვარად განიხილება. ტერმინის მარკერების განსაზღვრისას და მის მიმართ წაყენებული მოთხოვნებისას მონოსემიურობასთან ერთად მისი სტილისტური ნეიტრალობის საკითხიც განიხილება. ამ პოზიციის არგუმენტად მოიაზრება ის, რომ სამეცნიერო ტექსტი ინფორმაციის გადაცემის საშუალებაა და არა სტილისტური ეფექტების მიღწევისა. მეორე მხრივ, – ზეპირი დარგობრივი კომუნიკაციისას გამოიყენება მარკირებული არანორმატიული სპეციალური ერთეულები, ამიტომ ტერმინოლოგიური სინონიმის ფარგლებში ასევე შესაძლებელია ვილაპარაკოთ სტილისტურ სინონიმებზე, თუკი მხედველობაში მივიღებთ ტერმინოლოგიურ

რი ლექსიკის სტრატეგიკაციას და მეტყველების რეგისტრებს.

ტერმინოლოგიური სინონიმის არსებობას აღიარებს ლინგვისტა ერთი ჯგუფი, რომლებიც თვლიან, რომ ტერმინოლოგიური სინონიმია არის რამდენიმე სპეციალური ლექსიკური ერთეულის გამოყენება ერთი ცნების დასახელების მიზნით. [გრინე-გრინევიჩი 2008: 102]. ამ მოსაზრებას იზიარებენ სხვა მკვლევრებიც, რომლებიც მიიჩნევენ, რომ სინონიმია ესაა იმ სიტყვათა, მორფემათა, კონსტრუქციებისა და ფრაზეოლოგიური ერთეულების ძირითადი შინაარსის თანხვედრა, რომლებიც ერთ ცნებას გამოხატავენ, თუმცა ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მნიშვნელობის სხვადასხვა ელფერით, სტილისტური შეფერილობით და აქვთ უნარი ჩაენაცვლონ ერთმანეთს. [გოლოვინი, კობინი 1987]. ირკვევა, რომ ერთი ცნება შესაძლებელია დასახელდეს მრავალი ხერხით, რაც ქმნის ტერმინთა სიჭარბეს.

ამირანაშვილი თვლის, რომ „ერთი სამეცნიერო დისციპლინის შიგნით შეიძლება გვხვდებოდეს და, როგორც წესი, გვხვდება კიდევ ტერმინთა სინონიმურობა, რაც განპირობებულია მათი წარმოშობის სინქრონული და დიაქრონული მიზეზებით და მათი სალიტერატურო (resp. სამწერლო) ენაში მოხვედრის გზებით“. ავტორი მიიჩნევს, რომ ერთი დისციპლინის შიგნით სხვადასხვა ტერმინების სინონიმური არსებობა არ აბუნდოვანებს და ხელს არ უშლის მეცნიერულ კომუნიკაციას. ამ პოზიციის გასათვალსაზრისოდ ავტორი ასახელებს ენათმეცნიერების დარგს, სადაც სპეციალური ტერმინები ურთიერთჩანაცვებადნი არიან. ლინგვისტიკა: ენათმეცნიერება; დიალექტი: კილო; სპირანტი: ნაპრალოვანი; ერგატივი: მოთხრობითი; ატრიბუტივი: ზედსართავი და ა.შ. [ამირანაშვილი 2006:13].

ტერმინოლოგიაში სინონიმის წარმოშობის მიზეზად სახელდება ტერმინთა ქმნადობისა და მათი წარმოშობის წყაროების მრავალფეროვნება. მეცნიერთა ერთი ნაწი-

ლი თვლის, რომ ტერმინოლოგიური სინონიმია დამახასიათებელია ამა თუ იმ დარგის ტერმინოლოგიის ფორმირების საწყისი ეტაპისათვის. ეს ის ფაზაა, როცა ტერმინოსისტემა ჯერ არაა მკაფიოდ განსაზღვრული და ჩამოყალიბებული, არ არის დამკვიდრებული დარგობრივი ტერმინები და ერთი ცნების აღსანიშნავად გამოიყენება რამდენიმე ტერმინი [Ткачева 1987; Даниленко 1977; Яровенко 1973].

სხვა მკვლევრები უფრო შორს მიდიან და არ იზიარებენ იმ მოსაზრებას, რომ სინონიმია ტერმინოსისტემის განვითარების მხოლოდ პირველი საფეხურისთვისაა დამახასიათებელი. [Татаринов 1996; Казарина 1998]. ისინი ფიქრობენ, რომ მეცნიერებასა და ტექნიკაში „სინონიმური აზროვნების“ არარსებობა – არის უძრაობის სიმპტომი. სინონიმიას ისინი მიიჩნევენ მეცნიერების განვითარების სიმპტომად და თვლიან, რომ რამდენადაც მაღალია მეცნიერების განვითარების დონე, მით უფრო სინონიმურია სპეციალისტის აზროვნება [Татаринов 1996: 227].

სინონიმური რიგის შევსების საშუალებად ლინგვისტები ასახელებენ ტერმინთა პოლისემიას, რომლის საშუალებითაც მრავალმნიშვნედიანი ტერმინები შევა სხვადასხვა სინონიმურ რიგში, ასევე ნასესხობებს, კალკირებას, ეპონიმების გამოყენებას, ცალკეულ მკვლევართა იდიოლექტებს, ტერმინის შიდა ფორმის ვარირებას და ა.შ. [Гринев-Гриневич 2008].

განსხვავებით ზოგადი ენისაგან (აქ იშვიათი მოვლენაა აბსოლუტური სინონიმია), ტერმინოლოგიური სინონიმისათვის დამახასიათებელია აბსოლუტური სინონიმია [Головин, Кобрин 1987; Гринев-Гриневич 2008; Даниленко 1971; Ткачева 1987]. მეცნიერები ამგვარ აბსოლუტურ სინონიმიას ტერმინოლოგიაში უწოდებენ ტერმინოლოგიურ დუბლეტებს. “ტერმინოლოგიური დუბლეტები სიტყვები ან სიტყვაშეთანხმებებია, რომლებიც კავშირშია ერთსა და იმავე სამეცნიერ-

რო ცნებასთან და ერთსა და იმავე სინამდვილის ობიექტთან განსაკუთრებული ტერმინოლოგიური თანაფარდობით“ [Головин, Кобрин 1987: 54].

აბსოლუტური სინონიმის პრობლემას სამედიცინო დარგობრივი ლიტერატურიდან განიხილავს ნ. ამირანაშვილი, რომელიც იკვლევს ტერმინოლოგიურ დუბლეტს/-დუბლეტებს - „კანცერ“ და „კიბო“. ავტორი აღნიშნავს, რომ ამ ორ ლექსიკურ ერთეულს არა მარტო ონკოლოგიის დარგობრივ ლექსიკაში, არამედ თვით საერთო-სამედიცინო პროფესიულ ენაშიც კი არა აქვს იდენტური ლექსიკური ღირებულება: შინაარსით ორივე ლექსიკური ერთეული ერთსა და იმავე რეალიას მიემართება, – წერს ავტორი, – მაგრამ ტერმინოლოგიური თვალსაზრისით იგი მათ წყვილად არ მიიჩნევა. საკუთარი მოსაზრების დასადასტურებლად ამირანაშვილი ასახელებს, ერთი მხრივ, იმ არგუმენტს, რომ პირველი მათგანი – „კანცერ“ – ნომენკლატური ფუნქციით იხმარება, ხოლო „კიბო“ ფართო გამოყენების სამედიცინო ტერმინად მიიჩნევა. მეორე მხრივ, ავტორის მოსაზრებით, ამ ორ ტერმინს შორის მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტერმინწარმოებითი ფუნქცია, რაც იმით მტკიცდება, რომ „კანცერ“ მონაწილეობს სიტყვაწარმოებაში და პროდუქტიული ფორმაა, ხოლო „კიბო“ არაა პროდუქტიული ფორმა. ცხადია, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ავტორის მიერ განხილული ტერმინოლოგიური დუბლეტები ლათინურ-ქართული სამედიცინო ტერმინებია და ამის გამო, შესაძლოა, ამ მაგალითმა ვერ მოგვცეს სრული და უტყუარი სურათი აბსოლუტური სინონიმისა, რადგან ტერმინი ცნებას ასახელებს. ეს, თავის მხრივ, კოგნიტიური მოვლენაა და სხვადასხვა ენები განსხვავებულად ახდენენ მოვლენათა, საგანთა და საგანთა მიმართებების კოგნიციას, განსხვავებულად აღიქვამენ და ასახავენ სამყაროს.

სინონიმური ტერმინოლოგიური დუბლეტების მაგალითად ანალოგიურად, ოდონდ

ერთი კონკრეტული (გერმანული) ენის ფარგლებში შესაძლოა განვიხილოთ იმავე სამედიცინო დისციპლინის ჩარჩოებში ტერმინების „კანცერ“ და „იბო“ გერმანული შესატყვისი ლექსემები. მიგვაჩნია, რომ Krebs და Tumor სინონიმური წყვილია, თუმცა ისინი აბსოლუტური სინონიმის მაგალითებად არ გამოგვადგება იმავე მიზეზების გამო, რაც ლათინურ-ქართული ტერმინების განხილვისას აღმოჩნდა. მაგრამ ტერმინები Tumor, Geschwulst, Wucherung, Neoplasia - სემანტიკურად სრულად იდენტური სინონიმებია, რადგან განსხვავების ნიშნები მათში ვერ ფარავენ მსგავსების ნიშნებს. „აბსოლუტურად იგივეობრივ სინონიმებად შეიძლება მივიჩნიოთ ის სინონიმები, რომლებშიც მსგავსების ნიშნები საშუალებას გვაძლევს უგულებელვყოთ განსხვავების ნიშნები“. [ახალაკი 2006:25].

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ტერმინებისათვის არაა უცხო ისეთი ლექსიკურ-სემანტიკური მოვლენები, როგორებიცაა პოლისემია და სინონიმია. პოლისემია, როგორც ტერმინების კანონზომიერი მოვლენა, ამრავალფეროვნებს ტერმინის სემანტიკას. პოლისემიური ტერმინის სემანტიკის რეალიზაცია ხორციელდება „მართებულ არეში“, რაც ობლიგატორული პირობაა პროფესიონალური კომუნიკაციისას ტერმინის სწორად გაგებისა და მის ერთმნიშვნელოვნად აღქმის პროცესში.

ტერმინოლოგიური სინონიმია განსხვავდება ზოგადი ენის სინონიმისაგან სპეციალური თვისებებით: თუ ზოგად ენაში სინონიმები მიმართებაში არიან სხვადასხვა ცნებებთან და მიუთითებენ საგნის სხვადასხვა თვისებებზე, ტერმინოლოგიაში სინონიმები მიმართებაში არიან ერთი და იმავე ცნებასთან და ობიექტთან. ვიღებთ რა მხედველობაში ტერმინოლოგიური ლე-

ქსიკის სტრატეფიკაციას, ვასკვნიტ, რომ ტერმინოსისტემისათვის დამახასიათებელია სტილისტური ტერმინოლოგიური სინონიმია. ტერმინ-სინონიმთა სიუხვე ტერმინოსისტემაში დამახასიათებელია ტერმინის ფორმირების პირველი, საწყისი ეტაპისათვის. მათი რაოდენობა იკლებს უკვე განვითარებულ და ჩამოყალიბებულ ტერმინოსისტემაში. სინონიმია ტერმინოლოგიის მოქმედი პროცესია და ასრულებს ჩანაცვლების ან დაზუსტების ფუნქციას. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ტერმინ-სინონიმები აღნიშნავენ ერთსა და იმავე დარგობრივ ცნებას და არ ახასიათებენ მის სხვადასხვა თვისებებს, არ აქვთ დამატებითი მახასიათებლები, თუმცა შეუძლიათ დაასახელონ ერთი და იგივე ცნება სხვადასხვა ნიშან-თვისებების პოზიციებიდან.

ლიტერატურა

1. Weiß M. (2011): Ambiguität und Werbesprache. Formen, Verwendung und Nutzen sprachlicher Mehrdeutigkeit in der Werbung. 1. Aufl. Hamburg: Dr. Kovač Verlag
2. Соколова А. М. (1985): К вопросу о многозначности термина (на примере экономического термина) // Научная литература. Язык, стиль, жанры: сб. ст. / отв. ред. М. Я. Цвиллинг. М.: Наука. С. 301-311
3. Даниленко В. П. (1977): Русская терминология. М.: Наука. 246 с.
4. Hermann Maier & Fritz Schweiger. Mathematik und Sprache Zum Verstehen und Verwenden von Fachsprache im Mathematikunterricht. <https://www.math.uni-muenster.de/reine/u/mollerh/data/MaierSchweig11.pdf>
5. Гринев-Гриневиц С. В. (2008): Терминоведение: учебное пособие для студентов высших учебных заведений. М.: Издательский центр «Академия». 304 с.
6. Головин Б. Н. (1987): Лингвистические ос-

новы учения о терминах. М.: Высшая Школа. 104 с.

7. ქურდიანი მ. (1999-2001): ტერმინი „ქართველი“ და მისი მართებულო არეების მიხედვით ცვლადი მნიშვნელობები, I-II: (არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 58-ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი, 1999:52-55, II (არნ.ჩიქობავას საკითხავები XII, თბილისი, 2001:102-106)

8. Даниленко В. П. (1977): Русская терминология. М.: Наука. 246 с.

9. Ткачева Л. Б. (1987): Основные закономерности английской терминологии. Томск: Издательство Томского университета. 200 с.

10. Яровенко В. А. (1973): Явление синонимии в эмбриологической терминологии. // Астраханский медицинский институт. Тез. докл. 55 науч. сессии. Астрахань. С. 25-28.

11. Татаринев В. А. (1996): Теория терминоведения. Теория термина: История и современное состояние. Т.1. М.: 311 с.

12. Казарина С. Г. (1998): Типологические характеристики отраслевых терминологий. Краснодар. 276 с.

